# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 226 სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1909 წ. № 226

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

კნეინა ბარბარე რაფიელის ასული ხიმშიაშვილისა, შვილები გიორგი და ეკატერინე, მარიამ გიორგის ასული ღლონტისა, ნინო გიორგის ასული და კონსტანტინე იოსების ძე ყავრიშვილები შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ვერაგულად მოკვლას პირველის—საყვარელ მეუღლის, მეორეთა—მამის, მეოთხისა და მეხუთის—ძმის, მეექვსის ცოლის ძმის

### თავ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილისას.

დაკრძალვა ს. ბულაჩაურში, ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს. (1—505—1)

წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წელს

მამა დავითის საქალებო სკოლის სასარგებლოდ

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ დ. მგალობლიშვილის სადებიუტოდ კომ. ვ. სარდუსი.

### „აი გიდი მეგობრებო"

4 მოქმედებად თარგ. კ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მღივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 11მ. 70 კ.-დან 5 მ. 80 კ.-მდე, პარტერი 2 მ. 70 კ.-დან 75 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ორი ობოლი" ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

საღამოს გამგე კნ. ელ. ირ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**ღიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—10)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. **ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—178)

**ექიმქა** ქუთაისში. **ვოლოხმა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლოდ საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—2)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—270)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს ხპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მამიკონოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—21)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—35)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—80

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—ნ.—103)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოღოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.** (50—ნ.—36)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35** კაპ.—**უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს ღაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—27)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალო სკოლაში,

უფროს განყოფილებაში ჭრაკერვისა არის რამდენიმე **თავისუფალი ვაკანსია.** საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა და ცოტაოდენ ანგარიშისა. გაზაფხულზე ეგზამენის შემდეგ მოწაფეები მიიღებენ **ხელოსნის ხარისხის** ატესტატს.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3. (3—უ.—3)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—30)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—22)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—88)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმლების (ჭაჭების) ხატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—81)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რჟეინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—17)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—3)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N გ. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—27)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**გ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—27)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ბათუმის განყოფილების

გამგეობა აცხადებს, რომ განთავისუფლდა ბათომის ქართულ სკოლაში მასწავლებლის ადგილი და იწვევს **მასწავლებელ ქალს** თავისუფალ ადგილზე. წლიური ჯამაგირი 600 მან. თხოვნა, რომელშიაც აღნუსხული უნდა იყოს ყოველი ცნობა მთხოვნელის შესახებ, უნდა გამოიგზავნოს ბათომის ქართულ სკოლაში. მასწავლებლის არჩევა დანიშნულია 25 ოქტომბერს. (1—ნ.—1)

## ტფილისის სობრანიე

დღეს, სამშაბათს, 13 ოქტომბერს 1909 წ.

## საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს. (1—504—1)


## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს გახსნა.**

10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1½ საათზე ტავრიდის სასახლეში შეიკრიბნენ დეპუტატები, სათათბიროს თავმჯდომარე, მისი ამხანაგები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები, სათათბიროს კანცელარიის მოხელენი, პრესის წარმომადგენელნი. გადაიხადეს პარაკლისი, რამდენჯერმე შეასრულეს რუსის ნაციონალური ჰიმნი. ამის შემდეგ დაიწყო მესამე სათათბიროს მესამე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარეობდა ხომიაკოვი. სხდომა გაიხსნა 2 ს. 14 წუთზე. დარბაზი დეპუტატებით სავსე იყო. სხდომის დაწყებისას სოც.-დემოკრატი დეპუტატები დარბაზში არა ყოფილან. თავმჯდომარემ აცნობა სათათბიროს, თუ რამდენი წევრი დააკლდა სათათბიროს. გარდაცვალებულ დეპუტატთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს. შემდეგ სათათბირომ დაადგინა, საერთო სხდომები მოხდეს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილით 11—1 საათზე, დღისით—2—6 საათ., საღამოთი—8½—11 საათზე. გაიმართა კამათი მახლობელ დღეებში განსახილველ საქმეების წეს-რიგის შესახებ. დეპ. შიდლოვსკიმ მოითხოვა პირველ რიგში განხილულ იქმნას სამიწად-მოქმედო დებულება: ეს კანონ-პროექტი თუმც პრინციპიალური არ არის, ნაკლულევანება აქვს, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. 9 ნოემბრის კანონის შემდეგ, ეს კანონ-პროექტიც აუცილებლად უნდა იქმნას მიღებული, რადგან იგი მიმართულია რუსის სოფელში არსებულ ბოროტების—მიწის არეულ მფლობელობის—მოსასპობად.

კათედრაზე მილიუკოვი ავიდა.

**პურიშკევიჩი.** (თავის ადგილიდან): ლოიალური ოპოზიცია მისის იმპერატორებით უდიდებულესობისა! (საერთო სიცილი და ხმაურობა).

**მილიუკოვი.** ვერ გამიგია, რად თხოულობს ცენტრალური პარტია ამ კანონ-პროექტის დაუყოვნებლივ განხილვას, როდესაც ამ პარტიის კრებამ დაადგინა, სათათბიროში პირველ ყოვლისა განხილულ იქმნას კანონ-პროექტები სამოქალაქო თავისუფლებებზე. მთავრობამ აშკარად დაამტკიცა, რომ მარჯვნივ მიიწევს. ცენტრმა განიზრახა მარცხნივ დახევა. რათა ცენტრალურ პარტიას შეეძლოს მოფიქრება, კადეტებს აზრადა აქვთ წამოაყენონ ისეთი საკითხი, რომელიც დიდს ეჭვს არ იწვევს. კადეტები თხოულობენ პირველად განხილულ იქმნას კანონ-პროექტი პირობით განსამართლებაზე. მხოლოდ ამას იმ პირობით თხოულობენ, თუ მეორე რიგში იქნება კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ.

**ლერხეს** აზრით მილიუკოვმა იმიტომ გამოსთქვა თავისი მოსაზრება, რომ ოქტომბრისტების წინადადება სავსებით არ იყო გამოთქმული. ოქტომბრისტები ფიქრობენ, პირველად ეს სამიწადმომქმედო კანონ-პროექტი იქმნას განხილული, შემდეგ კი—კანონ-პროექტი პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ, ადგილობრივ სასამართლოსა და მოხელეთა პასუხის მგებლობის შესახებ.

**თავ. ტენიშევი.** მოაცებს, როგორა ჰბედავს მილიუკოვი ცრუ აზრების გავრცელებას არა მარტო ხალხში, აქ სათათბიროშიაც, სადაც იციან, რომ პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ კანონპროექტი არ შეიძლება მიღებულ იქმნას იმ დრომდე, სანამ ადგილობრივ სასამართლოში რეფორმა არ მოხდება. მილიუკოვის წინადადება ვერ დაიცავს პიროვნების ნამდვილ ხელუხლებლობას, ვერც კონსტიტუციონალურ გარანტიას უზრუნველჰყოფს. მისი წინადადება მხოლოდ ცალიერ დეკლარაციას იძლევა და სხვას არაფერს.

**მიაგკიმ** ილაპარაკა მშრომელთა ჯგუფის სახელით. იგი წინააღმდეგი იყო სამიწად-მომქმედო კანონ-პროექტის პირველ რიგში წამოყენების შესახებ. მოითხოვა პირველ ყოვლისა განხორციელებულ იქმნას 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი.

**ნიკოლაენკომ** ითხოვა განხილვა კანონპროექტისა მიწის შესახებ.

**კროპოტოვის** აზრით ეს კანონპროექტი გლეხს მიწას არ აძლევს. გლეხებს თავიანთ მიწების დაყოფა და განაწილება თითონვე შეუძლიათ.

**გუჩკოვი.** კადეტთა პარტიის ლიდერის კილო რაღაც ყალბად გაისმა. აგრარული საკითხი ყველა საკითხებზე მწვავეა, ამიტომ ამ საკითხიდან უნდა დავიწყოთ, შემდეგ-კი უნდა შევეხოთ იმ საკითხებს, რომლებზედაც კადეტები გვითითებენ. პოლიტიკურ რეკლამას არ დავდევთ, ეს სხვისთვის დაგვილოცნია.

**მილიუკოვმა** კიდევ ილაპარაკა იმის წინააღმდეგ, რომ პირველად სამიწად-მოქმედო კანონ-პროექტი იქმნას განხილული.

**ბულატმა** შრომის ჯგუფის სახელით მხარი დაუჭირა მილიუკოვის წინადადებას. პიროვნების ხელუხლებლობის შემდეგ უნდა განხილულ იქმნას კანონ-პროექტები განსაკუთრებულ წესებისა, მოსამსახურეთა შესვენებისა და ადგილობრივ სასამართლოს შესახებ.

კენჭის ყრით მიიღეს ოქტომბრისტების წინადადებაა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10—11 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** გაიხსნა რუსულ-სპარსულ სასწავლებელი. შარშან ეს სასწავლებელი აიკლეს რახიმ-ხანის ცხენოსნებმა. ბევრმა განაცხადა სურვილი, რუსულ ენას ვსწავლობთო. თავრიზელი ფიდაების აზრით მუხსირუს-სალტანემ სათარ-ხანის არდებილში შეიტყუა და აქ გამოამწყვდა.

### საზღვარ-გარედ.

**რაკონიჯი.** ნაშუადღევის 2 საათსა და 27 წუთზე ჩამოვიდა ხელმწიფე იმპერატორი. სადგურზე ხელმწიფეიმპერატორს დაუხვდნენ მეფე, მინისტრი და სხვა და სხვა წარჩინებული პირები. სადგურიდან ხელმწიფე-იმპერატორი სასახლეში გაემგზავრა.

**რომი.** დღეს, 10 ოქტომბერს, ზოგიერთ ქალაქებში სოციალისტებმა და ანარქისტებმა განიზრახეს საპროტესტო მიტინგების გამართვა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან მცხოვრებლები წინააღუდგნენ. ანსკონაა, რავენსა და სინიშში სოციალისტებმა მოინდომეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, მაგრამ ვერ მოახერხეს. მცხოვრებლები წინააღმდეგნი არიან მანიფესტაციებისა.

**ტურინი.** პოლიციამ მუშებს ნება არ მისცა, დემონსტრაცია მოეხდინათ. დილის 9 საათზე მუშების კომიტეტმა შრომის კონფედერაციის მთავარ სადგომში საიდუმლო კრება გამართა. კრებას რამდენიმე ასი მუშა დაესწრო, თუმცა ტურინში 200,000 მუშამდე არის.

**რომი.** „კორიერე"-„დელა-სერა"-ს თანამშრომელი ხელმწიფე-იმპერატორის ჩამოსვლის შესახებ ელაპარაკა რუსეთის ელჩს თავად დოლგორუკოვს. თავად დოლგორუკოვის სიტყვით რუსეთი და იტალია ერთნაირად დაინტერესებულნი არიან ბალკანეთის ეხლანდელ მდგომარეობის შენახვასა და განმტკიცებაში. რუსეთი იმ აზრისაა, რომ ბალკანეთზე ეკონომიური პირველობა იტალიას უნდა ეკუთვნო-

დეს და თანაგრძნობითაც ეკიდება იტალიის ამ მხრივ მოქმედებას.

**მადრიდი.** „იმპერიალის“ სიტყვით მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია რიფის ოლქში წინ აღარ გამოილაშქროს და გაამაგროს ის ადგილები, რომლებიც ესპანიის ჯარმა აქნობამდის დაიჭირა.

**ტოკიო.** აქაური პოლიტიკური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ თავადმა იტომ, თუმცა ოფიციალურად არა, მაგრამ მაინც ინახულა რუსეთის ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი. ზოგიერთების აზრით ეს ხელს შეუწყობს რუსეთ-იაპონიის მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებას.

**ჰააგა.** სამედიატორო სასამართლომ გაათავა შვეცია-ნორვეგიის დავის გარჩევა. სამედიატორო სასამართლოს უნდა გამოერკვია ამ ორ სახელმწიფოს საზღვაო საზღვარი. სამედიატორო სასამართლომ გრისბადარნა შვეციას მიაკუთვნა, ასკიეტებრუნდი—ნორვეგიას.

### ჰაერში ფრენა

**ვენა.** გაფრინდა ბლერიო. გაფრენას დაესწრნენ იმპერატორი, სამეფო გვარის წევრები და ასი ათას კაცზე მეტი. ბლერიოს დიდს ალტაცებით მიეგებნენ.

### გერცენშტეინის მოკვლის საქმე.

**კიუვენეპე.** ილაპარაკა იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ. კრასკოვსკის სიტყვით მოწმეების ჩვენებამ გამოაშკარავა, რომ მოწმეებს კავშირი და მისი წევრები სძულთ და ეჯავრებათ. დუბროვინის მოყვანაო, სთქვა იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ, მოწინააღმდეგეებს იმიტომ უნდათ, რომ ხალხში სახელი გაუტეხონ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“. ლარიჩკინმა გაიმეორა თავისი წინანდელი ჩვენება. სასამართლო მოწმეების გამოკითხვას შეუდგა. წაიკითხეს კომისაროვის დღიური. როგორც ამ დღიურიდან სჩანს, გერცენშტეინის მოკვლის საქმე იუსკევიჩ-კრასკოვსკის სახლში მოუწყვიათ. კრასკოვსკი უარჰყოფს ამას. პეტროვის სიტყვით კაზანცევი „კავშირის“ წევრი ყოფილა, თუმცა კი სხვებს მაქსიმალისტად აცნობდა თავს. მოწმე იაკოვლევმა უარჰყო პრუსაკოვის ჩვენება, არაფერი არ მითქვამს პრუსაკოვისთვისო. მოწმე მიხაილოვმა განაცხადა „რეჩში“ რომ წერილი დავწერე, სადაც „კავშირის“ წინააღმდეგ რამდენიმე ბრალდება მოვიყვანე, ჩემით კი არ ჩამიდენია, შარკევიჩმა და გორნოსტაევმა მაიძულესო. ყველაფერი ეს ტყუილიაო. ხუთი მოწმის სიტყვით ნაფიც ვექილ ვებერს მოწმეები მოუყიდნია. მოწმეების გამოკითხვის დროს ანდრონიკაშვილმა და ნიკიტინმა ერთმანეთი გალანძღეს. მოწმეების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ილაპარაკა ბრალმდებელმა. ბრალმდებელმა, სხვათა შორის სთქვა: უკვე დამტკიცდა, რომ გერცენშტეინი „ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის“ წევრებს მოუკლავთ. ლარიჩკინს ხელი შეუწყვია მკვლელობისთვის, იუსკევიჩ-კრასკოვსკის კი მოუწყვია მკვლელობა და „კავშირის“ წევრები წაუქეზებია. რაც შეეხება დუბროვინს, მის შესახებ გამოძიება უნდა შეჩერდეს იქნობამდის, სანამ დუბროვინი სასამართლოში არ გამოცხადებულა, თუმცა კი სასამართლოში იმისთანა რამეები გამოირკვა, რაიც სასამართლოს უფლებას აძლევს მოითხოვოს დუბროვინის დაპატიმრებაო. ბრალმდებელის შემდეგ ილაპარაკა გერცენშტეინის ქვრივის ინტერესების დამცველმა ნაფიცმა ვექილმა ანდრონიკაშვილმა. ანდრონიკაშვილის სიტყვით ლარიჩკინი მარტო ხელს უწყობდა გერცენშტეინის მკვლელობის საქმეს, იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ კი, როგორც „კავშირის“ სამხედრო ორგანიზაციის უფროსმა, გადასწყვიტა გერცენშტეინის მოკვლა და წააქეზა „კავშირის“ წევრები; „კავშირის“ თავმჯდომარე დუბროვინის მონაწილეობა კი მკვლელობისთვის საჭირო საგნების მიწოდებაში გამოიხატაო. კრასკოვსკის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა ნიკიტინმა წაიკითხა დეპეშა დეპეშა გაუგზავნია იუსტიციის მინისტრისთვის და ატყობინებს სასამართლოში გამოირკვა, რომ ნაფიც ვექილ ვებერს მოწმეები მოუყიდნია და ანდრონიკაშვილმა უსინიდისო მიწოდაო. ნიკიტინი მინისტრს სთხოვს მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას. ამის შემდეგ ნიკიტინმა განაცხადა, ანდრონიკაშვილს და ბრალმდებელს წერილობით გავცემ პასუხსო. იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ სთქვა, ანდრონიკაშვილმა და ბრალმდებელმა დაამახინჯეს ჩემი სიტყვები, ამიტომ იმედი მაქვს, რომ სასამართლო მოსპობს „კავშირის“, დუბროვინის და ჩემს საქმესო. საქმე ორშაბათს, 11 ოქტომბერს გათავდება.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატამ განიხილა სოფლის მოსამართლეების საქმე, რომლებსაც ბრალდებდათ, რომ მათ თავისი ნებით სასამართლოებში საქმის გარჩევა პოლონურ ენაზე აწარმოვეს. ეს საქმე პირველად განიხილა პლოცკის სასამართლომ. პროკურორმა პალატაში განასაჩივრა სასამართლოს განაჩენი. პალატამ გადაუწყვიტა: 24 ოთხ-ოთხი თვით სატუსაღო, 18 სამოსამართლო სამსახურიდან გადაყენება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ნიჟნი-ნოვგოროდის მაზრაში უცნობები თავს დაეცნენ მემამულე პეტროვს. გაიტაცეს 3000 მანეთი. პეტროვი დასჭრეს.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ დიევკას ახლო უცნობებმა მატარებელში გაცარცვეს მეარტელე. გაიტაცეს 10,000 მანეთი.

**პეტროვსკი.** ერობამ გადასწყვიტა ადგილობრივ სემინარიაში კორელთა ენა შემოიღოს.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** 9—10 ოქტომბერს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 12, ავად არის 272 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: არხანგელსკში 6, ბალახნაში 3, გროდნოში 4, ვერხნედნეპროვის მაზრაში 4, კიევში 17, კიევის გუბერნიის მაზრებში 35, კოსტრომაში 19, ნიკოლაევსკში 5, ვერბოვეში 13, კრემენჩუგში 8, კრემენჩუგის მაზრაში 4, ზოლოტონოშკის მაზრაში 3, პონევეჟეში 14, კრენგოლმში 4, სირენცში 2, იაროსლავში 30, იაროსლავის გუბერნიის მაზრაში 9 კაცი; გარდაიცვალა: არხანგელსკში 1, ბალახნაში 1, გროდნოში 4, ვერხნედნეპროვსკში 8, კიევში 8, კიევის გუბერნიის მაზრებში 25, კოსტრომაში 8, ნიკოლაევსკში, 2, ვერბოვეში 5, კრემენჩუგში 5, კრემენჩუგის მაზრაში 3, პონევეჟეში 7, კრენგოლმში 3, სირენცში 4, იაროსლავში 17, იაროსლავის გუბერნიის მაზრებში 3 კაცი.

## საქართველოს საექსარხოსოს ბედი

ბაქოს გაზეთებიდან უკვე ამოვიღეთ ის ამბავი, ვითომ საქართველოს ექსარხად ეპისკოპოსს კირიონს ნიშნავდნენ. ახლა „რეჩ“-ში ვკითხულობთ (მოგვყავს სიტყვა-სიტყვით):

„საქართველოს საექსარხოსოს საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ერთ დროს, როგორც ვიცით, თითქმის გაიმარჯვეს მემარჯვენე ეპისკოპოსებმა, რომელთა აზრითაც საქართველოს საექსარხოსო უნდა გაუქმებულიყო და იმის მაგიერ ექვსი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო. მემარჯვენეთა აზრით, ეს რეორგანიზაცია ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრიდა „კრამოლნიკ“ ქართველებში აზრს ავტოკეფალიის შესახებ. მაგრამ ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა უფულობამ. ექვს დამოუკიდებელ საეპისკოპოსოს მოსაწყობად წლიურად სულ უკანასკნელი 60-70 ათასი მანეთი დასჭირდება. სინოდს კი ეს ფული არა აქვს, რადგან ვოსტორგოვის სარევიზიო სვირნობამ და ბერების სხვა და სხვა კრების მოწყობამ დააცალიერა სინოდის კასსა. ადგილობრივ კი, საქართველოში, ამ ფულის შოვნა შეუძლებელია. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს ის ბრძოლა, რომელიც საქართველოს საეკლესიო თანხამ გამოიწვია და რომელიც მაინცა და მაინც სინოდის სასარგებლოდ არ გათავებულა. სინოდი არც სახელმწიფო სათათბიროსაგან ელის ფულის მიღებას, რადგან სათათბიროს სინოდი საქართველოს ავტოკეფალიის მომხრედ მიაჩნია. ნებით თუ უნებლიეთ სინოდი იძულებული გახდა, თავი მიენებებინა საქართველოს საექსარხოსოს გაუქმების საკითხისთვის. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სინოდის ყურამდე მიაღწია ხმამ, თუ საექსარხოსო გაუქმდა, საქართველოს ეკლესია რომის პაპთან უნიას დასდებსო. ყველა ამან თავისი გავლენა იქონია და სინოდში აღიძრა საკითხი საქართველოს საექსარხოსოს შენახვის შესახებ. მაგრამ აქაც სინოდს ერთი გარემოება გადაეღობა. როდესაც აღძრეს საკითხი, ვინ დაენიშნათ საქართველოში, ყველამ უარი განაცხადა. საქართველოს ეგზარხის ადგილი შესთავაზეს ფინლანდიის მთავარ-ეპისკოპოს სერგის, ვარშავის—ნიკოლოზს და ტვერის—ალექსის, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა და არ მოისურვა ეს საპატიო ადგილი. ამის გამო ამ ბოლო დროს სინოდის წრეებში ხშირად გაისმის, რომ საქართველოს ექსარხად ეპისკოპოსი კირიონი უნდა დაინიშნოსო. სინოდის ზოგიერთ წევრთა აზრით მხოლოდ კირიონს შეუძლიან საქართველოს დამშვიდებაო“.

## თათბირი ერობის შესახებ

8—9 ოქტომბრის სხდომები მოუნდნენ იმ საკითხის გამორკვევას, თუ რამდენ სართულიან ერობის შემოღებაა სასურველი ტფილისის გუბერნიაში. როგორც აღვნიშნეთ, კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით საჭიროდ სცნო საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო ერობა. სასოფლო, ანუ მცირე საერობო ერთეული, კრებაზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად, ასე უნდა შესდეს: თვითეულ სოფლის საზოგადოებას უფლება ექნება შეადგინოს სასოფლო ერობა. მცირე სოფლის საზოგადოებებსაც უფლება ექნებათ შეთანხმდნენ, შეერთდნენ და შეჰქმნან საერობო ერთეული. ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებულის სიხარულით მიეგებნენ გლეხები.

შაბათს, 10 ოქტომბერს საღამოთი, სხდომას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ გალერეაზე ტევა აღარ იყო. გ. ბ. გვაზავამ და ალ. ივ. ხატისოვმა მოხსენებანი წაიკითხეს საყურადღებო საკითხის შესახებ: როლი ქალაქებისა საერობო დაწესებულებებში. ბ-ნი გვაზავა იცავდა აზრს ქალაქების სამაზრო და საგუბერნიო ერობებში დატოვების შესახებ, ხოლო ბ-ნი ხატისოვი საჭიროდ სცნობდა, ქალაქი ტფილისი მარტო საგუბერნიო ერობაში დარჩეს. ამ მომხსენებლების აზრი ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. მათ ამ საგანზე სექციებშიაც ბევრი ილაპარაკეს, ლექციებიც წაიკითხეს. სხვათა შორის, ბ-ნმა გვაზავამ სთქვა: თუ ტფილისი გამოეყოფა გუბერნიასა და მაზრას, მაშინ შესაძლებელია თელავმა, სიღნაღმა, გორმა და სხვა ქალაქებმაც მოინდომონ გამოყოფა ცალკე ერთეულებად. შეიძლება სოფლებმაც მოინდომონ გამოყოფა. ამ ნაირად მთლიანობა ერობის იდეისა დაირღვევა და გაქარწყლდება. საერობო ბიუჯეტის უმთავრესი მუხლები რომ ავიღოთ, დავრწმუნდებით, რომ გასამართლებელი საფუძველი არა აქვთ ქალაქების გამოყოფას. 2½ მილიონი მანეთი იხარჯება საერობო დარაჯებზე, ერთ მილიონ მანეთზე მეტი გზებზე და სხვა. სექციის სხდომაზე ჩემი მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი სოფელზე დახარჯავს ფულსაო. ავიღოთ, მაგ., გზები. გუბერნიაში გზების შესაკეთებლად ყოველ წლობით 1 მილიონი იხარჯება. განა ეს ფული სოფლის სასარგებლოდ იხარჯება. უმთავრესად გზები ქალაქების საჭიროებათათვის კეთდება. ამ გზებით სოფლის ხალხი ქალაქს მცხოვრებთ სანოვაგეს აწვდის ხოლმე. ამავე გზებით ქალაქის მცხოვრებნი გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე სავაჭრო საქონელი. აშკარაა, რომ ქალაქი ფულს ხარჯავს ისეთ საქმეზე, რომელიც უმთავრესად ქალაქს აძლევს სარგებლობას. ასევეა საერობო დარაჯების საქმე. დარაჯებმა განა ვინ უნდა დაიცვან და დაიფარონ რაიმე უბედურებისაგან? უსათუოდ გზებზე მიმომსვლელი ვაჭრები, მათი საქონელი ყაჩაღებისაგან და სხვა. გლეხს რა გააჩნია და რა საჭიროა მისთვის დარაჯი? ქალაქი უმთავრესად სოფლით შედგება. იგი მოვალეა სოფლისა და აუცილებლად უნდა გადაიხადოს ვალიო. ბ-ნმა გვაზავამ თავისი აზრის დასამტკიცებლად სხვა მოსაზრებანიც მოიყვანა და [illegible] მა თავის საერობო თანხით მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო ერობაში.

ალ. ი. ხატისოვმა დიდს ხანს ილაპარაკა. იგი წინააღმდეგია ტფილისის საგუბერნიო ერობაში დატოვებისა. ორატორმა, სხვათა შორის, სთქვა: თუ ტფილისი მოვალეა ვისიმე უფრო გუბერნიის მოვალე უნდა იყოს, ვიდრე მაზრის. ქალაქი ბაზარია უმთავრესად ტფ. მაზრის სოფლებისათვის და ისინი ქალაქისაგან არა თუ იკვებებიან, თითქმის მდიდრდებიან კიდეც. უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში საერობო დასაფასებელმა გადასახადმა ისე ძლიერ აიწია, რომ მომატება შეუძლებელია. ტფილისში 280,000 მცხოვრებია. ჩავთვალოთ, რომ მდიდარი ბურჟუაზია 80,000 სულია, დანარჩენი 200,000 ღარიბი ხალხია, სოფლიდან მოსული პროლეტარიატი. აი, ეს ღარიბი ხალხია გადამხდელი გადასახადისა და როდესაც გსურთ ტფილისი შეიტანოთ მაზრასა და გუბერნიაში თავის საერობო გადასახადით 300,000 მან. თქვენ ფულს ახდევინებთ არა ინჟენრებსა და ექიმებს, არამედ 200,000 ღარიბ მცხოვრებს. გზები, დარაჯები და სხვა ამგვარი სახელმწიფო დაწესებულებათათვის უფრო საჭიროა და მათ შესანახავად ფული მარტო ქალაქმა არ უნდა გაიღოს. ქალაქი სოფლებისათვის დიდი სიკეთის მომტანია. სახელმწიფოები ომსაც კი არ ერიდებიან ბაზრის მოსაპოებლად, ხოლო სოფელს ეს ბაზარი უშრომლად აქვს და სარგებლობს კიდეც თავის სანოვაგის გასასაღებლად. ტფილისი მარტო გუბერნიასთან კი არა, მთელ კავკასიასთან არის დაკავშირებული. ტფილისი გააშენეს მთელ კავკასიის მცხოვრებლებმა. ბაქოდან და სხვა კუთხეებიდან მოვიდნენ მცხოვრებნი. გადიდდა ქალაქი. დიდი უსამართლობა იქნება, ქალაქმა საერობო თანხიდან 100,000 მან. საგუბერნიო ერობას აძლიოს, ხოლო 200,000 მან. სამაზრო ერობას. გარდა ამისა, არ დავმალავ, რომ ქალაქის სამაზრო ერობაში შეტანა საზარალო იქნება თვით მაზრის მცხოვრებთათვის: ქალაქში სცხოვრობს 280,000 და მაზრაში კი 80,000 სული. მაშასადამე, რიცხვით მეტი ქალაქი მეტ ხმოსანს იყოლიებს სამაზრო ერობის საბჭოში და შესაძლებელია საბჭოს საქმეებს ისეთი მიმართულება მისცეს, რომ მაზრა დაიჩაგროს. რათა ეს არ მოხდეს, უმჯობესია ქალაქი ცალკე სამაზრო ერობად იქნეს გამოყოფილი და იგი სხვა მაზრებთან ერთად შედიოდეს საგუბერნიო ერობაში.

ამ საგანზე თავ. ივ. აფხაზმაც ილაპარაკა. იგი წინააღმდეგი იყო ტფილისის გამოყოფვისა ცალკე მაზრად. რუსეთის ქალაქები ყოველ წლობით 4 მილიონ მანეთს აძლევენ ერობებსაო. რომ ვიანგარიშოთ, 40 წლის

# სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა

გაიარა რევოლიუციონურ ბრძოლის ქარტეხილმა, როცა თავისუფლების იდეით გატაცებულ რევოლიუციონერთა რაზმები იშვიათის თავგამოდებით ეკვეთნენ თეირანის კედლებს, სადაც შეხიზნულიყო უკანასკნელი სულთქმა ავათ სახსენებელ მაჰმად-ალი-მირზას დესპოტიურ მთავრობისა და დიდის ხნით მაინც, თუ სამუდამოდ არა, ბოლო მოუღო იმის უსაზღვრო და თავ-აშვებულ თვითნებობას. დიდი ხნით მაინც მეთქი, ვამბობ, რადგან თუმცა გარეგნულად მშვიდობიანობა ჩამოვარდა თითქმის მთელ სპარსეთში, მაგრამ ნამდვილად კი შინაური თუ გარეშე მდგომარეობა ქვეყნისა გაცილებით უფრო საშიში და დამაფიქრებელია დღეს ახალ რეჟიმისთვის, ვიდრე ამ სამი თვის წინად იყო. მაშინ, აქტიურ ბრძოლის დროს, ერთი ერთმანეთის წინ იდგა ორი, თუმცა უთანასწორო, ძალა, მაგრამ მით უფრო აშკარა, პირდაპირი, რაც უფრო აშკარა და პირდაპირი იყო მათი ლტოლვილება.

ცხოვრებით გალაღებული, სასახლის ერთი მუჭა უნიჭოთა პარტია წინ ეღობება საუკუნოების ძილიდან გამოღვიძებულ ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისა და პროგრესისაკენ და არავითარ საშუალებას არა ზოგავდა თავის პრივილეგიების შესანარჩუნებლად. და, აი, სწორედ იქ, თეირანის კედლებთან, უნდა გადაწყვეტილიყო სპარსეთის ბედი: გაიმარჯვებდა რეაქცია—მთელ სპარსეთს თავისს საყმოდ გადააქცევდა, სწორედ ისე, როგორც წინად იყო, არა და—აუცილებლად ადგილი უნდა დაეთმო უკვე მომწიფებულ ახალ რეჟიმისთვის და თვით კი ისტორიას ჩაჰბარებოდა. კომპრომისი, შერიგება ძველსა და ახალს შორის შეუძლებელი იყო, რადგან იგი შეუძლებლად გახადა თვით, წუთიერ გამარჯვებით დამთვრალმა, მაჰმად-ალის უნიჭო მრჩეველთა ხრომ. მაგრამ გადაგვარებულ დინასტიის გადაგვარებულ ჩამომავალს ვერ აუსრულდა გულის წადილი: გამარჯვება რევოლიუციას დარჩა და შაჰმა თვის ამალით მოიმკო ის, რაც დასთესა. სამი დღის წინად უკანტროლო და თავაშვებული მბრძანებელი ირანისა, დამარცხების შემდეგ, თითქმის დაჩოქილი, ევედრებოდა რევოლიუციის გმირებს: მოიღეთ მოწყალება, ოღონდ სამშობლოდან ნუ გამაძევებთ და მთელი ჩემი სიცოცხლე დერვიშად ვივლი მეშედსა და ქერბალას შუაო, რის პასუხადაც ებრძანა: 24 საათის განმავლობაში აიკარ შენი ბარგი-ბარხანა და სპარსეთის იქით სადაც გენებოს, იქ ისეირნე, რადგან ასეთია ნება-სურვილი შენის „ერთგულ“ ხალხისაო. დიახ, ასეთია ხოლმე პასუხი მონობის ძილისაგან გამოღვიძებულ ხალხისა მის მჩაგვრელებისადმი! მანაც დაუყონებლივ აიკიდა ზურგზე საგზალი და თვალცრემლიანი გაუდგა გზას რუსეთისაკენ.

მართალია, სპარსეთის ხალხმა მოიცილა მკერდიდან ერთი საზიანო ხორც-მეტი, რომელიც აუცილებელ სიკვდილს უქადდა მას, მაგრამ განა საკმაოა ავადმყოფის კეთილდღეობისათვის მარტო მომაკვდინებელ მუწუკის ამოჭრა? მგონია, რომ არა. რევოლიუციონური მთავრობა კი, დღემდე მაინც, მხოლოდ ასეთის ოპერაციით კმაყოფილდება.

თეირანის აღებისათანავე შესდგა ადგილობრივი ენჯუმენი, რომელშიაც შედიოდნენ უმეტეს ნაწილად მეჯლისის ყოფილი დეპუტატები და ორი რევოლიუციონერი მინისტრი: სამხედრო—ნასრე-სალთანე (სეფაჰდარი) და შინაგან საქმეთა—ჰაჯი-ალი-ყული ხანი (სარდარ-ასადი). თეირანის ენჯუმენმა თავისი თავი „ნაციონალურ უმაღლეს კომიტეტად“ გამოაცხადა, ხელთ ჩაიგდო უმაღლესი ძალა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, საქმეც თითონ იკისრა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ისინი, ვინც თავს იდვა რევოლიუციის წინამძღოლობა, შემდეგაც პირდაპირი მემკვიდრენი უნდა ყოფილიყვნენ იმის ნაყოფისა; იმიტომ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმაც სწორედ იგი იცნეს სპარსეთის „დროებით მთავრობად“.

გაიარა ცოტაოდენმა ხანმა და „კომიტეტის“ წევრთა რიცხვი 60 კაცამდე ავიდა, მაგრამ მრავალ-რიცხოვანმა კომიტეტმა ვერ შესძლო, თუ ვერ მოახერხა, ნაყოფიერი მუშაობა, მით უმეტეს, რომ გაჩნდა ინტრიგა და წვრილმანი ქიშპობა პირად ინტერესების ნიადაგზე იმ პირთა მხრით, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზისა გამო კომიტეტში ვერ მოჰყვნენ. ეს ვაჟბატონები, მოსყიდულნი მეზობელ სახელმწიფოების სხვა და სხვა პროტექტთაგან, როგორიცაა, მაგ., სპარსეთის კრეზი, ზილლი სალთანე, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მდგომარეობა გაემწვავებინათ, ახალი სამოქალაქო ომი გამოეწვიათ და მით სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის საბაბი მიეცათ დაინტერესებულ სახელმწიფოებისათვის. დანარჩენი მინისტრებიც ვერ იყვნენ კმაყოფილნი „უმაღლეს კომიტეტის“ არსებულ შედგენილობისა, მათაც ხმა აიმაღლეს იმის წინააღმდეგ და აირია მონასტერი. მაგრამ კომიტეტის წინდახედული წევრნი არ მოეკიდნენ ასე ეშმაკურად გადაგდებულ ანკესს: მოხდა ხელ ახალი არჩევანი და კომიტეტის წევრთა რიცხვი 20 კაცამდე შემცირდა.

განახლებულ „ნაციონალურ კომიტეტში“ შევიდა ისევ ორი მინისტრი—სამხედრო და შინაგან საქმეთა. ამ შედგენილობის კომიტეტი განაგრძობდა სახელმწიფოს მართვის საქმეს იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ გადასწყდებოდა ბედი ყოფილ შაჰის მაჰმად ალისა. მას შემდეგ კი, რაც ექს-შაჰს სპარსეთიდან გაძევება მიესაჯა, „კომიტეტმა“ თავისი თავი გაუქმებულად გამოაცხადა და კიდევაც დაიშალა, რის შემდეგაც შესდგა „ნაციონალური არა ჩვეულებრივი კრება“. ასე რომ, მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალა „ნაციონალურ კრებას“ და სამინისტროს, უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ სამხედრო მინისტრს დარჩათ, რადგან მთელ კაბინეტში ერთად-ერთი, შედარებით მომზადებული და მხნე კაცი სეფაჰდარია. სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ჯერ-ჯერობით მაინც, ერთი, დროის შესაფერად მომზადებული, სახელმწიფო მოღვაწეც კი ვერ წამოაყენა. ისინი, რომელნიც ქვეყნის მსხნელად და ბურჯად იყვნენ მიჩნეულნი, სრულიად შეუფერებელნი და მოუმზადებელნი გამოდგნენ ახალ წეს-წყობილებისთვის. ისინი კი, რომელნიც დღეს წამლად და მალამოდ დაედებოდნენ სამშობლო ქვეყნის წყლულებს, მაგ., გარეშე საქმეთა მინისტრი, ნასრ-ულ-მულკი, უცხოეთში გახიზნულან და სეირის თვალით უყურებენ, თუ როგორ ეშმაკურ ქსელს უგებენ შინაური და გარეული მტრები ისედაც გაწამებულ-გაუბედურებულ სპარსეთს.

პირველი და უმთავრესი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც მთელის თავის სიძნელით ამართულია განახლებულ სპარსეთის წინ—არის ფინანსიური საკითხი. ყაჯართა დინასტიის უნიჭო შაჰებმა თავიანთ ანგარებითა და უთავბოლო პოლიტიკით ისე დასცეს და გააღატაკეს სპარსეთი, რომ ოდესმე მდიდარი ირანი დღეს დაღუპვის კარზეა მიმდგარი. მოგეხსენებათ, რა ფინანსიური სისტემაა ის სისტემა, რომელიც დღემდე მოქმედებს სპარსეთში: არავითარი წეს-რიგი, არავითარი კონტროლი სახელმწიფოს ბიუჯეტის საქმეში!

ხარჯ-გადასახადის აკრება დღემდე ისევ „ცნობილ“ საჯარო ვაჭრობით ხდება: გაიწერება თუ არა გადასახადი, ვისაც კი შეძლება აქვს და თან პატარა მოქმედების უნარიც, მიდის მთავრობასთან და იწყება ფორმალური საჯარო ვაჭრობა. ის კაცი, რომელსაც ესა თუ ის კუთხე ჰხვდა საჯარო ვაჭრობით ხარჯის ასაკრებად, ვალდებულია იქვე ჩააბაროს ხაზინას ხვედრი თანხა და მერე სრულებით იმის ნებაზე და უნარზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაინაღდებს გადახდილ ფულს. იჯარადარი, რასაკვირველია, სავსებით სარგებლობს თავის უფლებით და საცოდავ ხალხს ერთის მაგიერ, სამი და ოთხი ზომა ტყავი სძვრება. თუმცა კანონი ვითომ უკრძალავს კიდეც იჯარადარს იმაზე მეტის აღებას, რაც მას მთავრობისთვის არ მიუცია, რისთვისაც დანიშნულია „კონტროლი“, მაგრამ კონტროლერიცა და იჯარადარიც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ და შემოსავალსაც ძმურად იყოფენ, მით უმეტეს, რომ იჯარადარნი ისევ მეფის დაახლოვებული პირები ბძანდებიან უმეტეს ნაწილად და მათზე ხომ სამართალი არ წერილა! დამერწმუნებით, რომ ასეთი სა-

განმავლობაში რუსეთის ქალაქებმა 166 მილიონი შესწირეს სოფლის კეთილდღეობას. ქალაქი ტფილისი მით უფრო ვალდებულია მაზრისა და გუბერნიის წინაშე. რამდენი ხანია ქალაქს იმ დაწესებულებათათვის, რომელნიც სახელით მთელი კუთხისაა, სახრავით-კი ქალაქისა, საერობო თანხიდან 315,000 მან. ეძლევა ყოველ წლივ. უკანასკნელი 20 წელიწადი რომ ვიანგარიშოთ, ქალაქს საერობო თანხიდან 6 მილიონი მანეთი მოხმარებია. სხვა რომ არა ვთქვათ რა, ეს ვალი მაინც უნდა გადაუხადოს ერობას ტფილისმა.

კამათის დროს მოთათბირენი ორ დასად გაიყვნენ. უმრავლესობა მომხრე იყო ქალაქები სამაზრო და საგუბერნიო ერობაში დარჩნენ, უმცირესობას უნდოდა ტფილისის გამოყოფა ტფილისის მაზრიდან. ალ. ივ. ხატისოვს მხარი დაუჭირა ალ. ქალანთარმა, შულავრელმა მეჰრაბოვმა, თელაველმა ვერმიშევმა, და სხვებმა: გ. გვაზავას—დ. გურამიშვილმა, გულიშამბაროვმა, მიხ. გედევანიშვილმა და სხვებმა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ თავმჯდომარემ გადასაწყვეტად დააყენა საკითხი. 18 კაცი (მათ შორის 15 ქალაქების წარმომადგენელი, ხოლო სამი სოფლებისა) თანახმა იყო ტფილისის მაზრიდან გამოყოფისა, ხოლო 36 წევრი—წინააღმდეგი. ამ რიგად, კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით საჭიროდ სცნო ტფილისის დატოვება სამაზრო ერობაში.

ამავე ხალამოთი ლაპარაკი ალიძრა იმ დაწესებულებათა შესახებ, რომელთა შესანახათაც საერთო, საერობო თანხიდან ყოველ წლობით 315,000 მან. იხარჯება. ასეთი დაწესებულებანი არიან ტფ. მიხეილის სავადმყოფო, სა ების ინსტიტუტი, საფერშლო სკოლა და სხვ. რადგან კამათის დროს ცხადად გამოირკვა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებს ინახავს მთელი ამიერ-კავკასია და, მაშასადამე, მათი ბედის გადაწყვეტა ამიერ კავკასიის მცხოვრებთა წარმომამადგენლებზეა დამოკიდებული, ამიტომ სხდომამ დაადგინა: დაევალოს ამიერ კავკასიის მომავალ ერობათა წარმომადგენლების საერთო კრებას გადასწყვიტოს ეს საქმე.

მეორე დღეს, 11 ოქტომბერს, სხდომა დაიწყო ნაშუადღევის 1 საათზე.

ვიდრე მორიგ საკითხის (ცენზისა და საერობო ხმოსნების არჩევნების სისტემის შესახებ) განხილვას შეუდგებოდნენ, თავ. გურამიშვილმა სთხოვა კრებას, განეხილა მისი წინადადება განთავისუფლდეს ამიერ-კავკასიის საერობო ბიუჯეტი საერობო დარაჯი შესანახ ხარჯისაგან. მიხეილის საავადმყოფოზე, სთქვა თვ. გურამიშვილმა, ყოველ წლივ აუარებელი ფული იხარჯება. თუმცა ეს დაწესებულება ამიერ-კავკასიის მცხოვრებთათვის არის დაარსებული, მაგრამ მცხოვრებნი ვერ სარგებლობენ მითი ცნობილ მიზეზებისა გამო, ამიტომ ეს დაწესებულება არც საჭიროა მათთვის. ასე არ შეიძლება ითქვას საერობო დარაჯის შესახებ. 2½ მილიონი მანეთი იხარჯება საერობო დარაჯის შესანახად, მაშინ როდესაც დარაჯის ყოლამ ადმინისტრაციას ვერ შეაძლებინა ქურდობისა, ავაზაკობისა და სხვა ბოროტმოქმედების მოსპობა. ყოველ შემთხვევაში თუ საერობო დარაჯი მთავრობას სჭირდება წესიერების დასაცველად, ხაზინიდან უნდა გადაიდოს ფული. მე ვთხოვ კრებას, მიიღოს ჩემი წინადადება და აღძრას შუამდგომლობა, რომ საერობო დარაჯის შესანახი ფული სახელმწიფო ხაზინამ იკისროს.

სიტყვა მოითხოვა ფილიპე გოგიჩაიშვილმა, რომელიც წევრი არ არის კრებისა. თავმჯდომარე'ს შეკითხვაზე, სურს თუ არა კრებას მოუსმინოს ბ-ნ გოგიჩაიშვილს, კრებამ თანხმობა განაცხადა.

**ფ. გოგიჩაიშვილი.** როგორც კრებას მოხსენდა ტფ. გუბერნიიდან საერობო გადასახადი შემოდის წელიწადში სულ 1,100,000 მან. აქედან საერობო დარაჯის და მთავრობის დაწესებულებათა შესანახად იხარჯება 500,000 მან. მაშასადამე, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო ერობაბათათვის შემოსავლიდან რჩება მხოლოდ 600,000 მან. ყველასათვის ცხადია, რომ ეს ფული არ ეყოფა ერობებს არა თუ რაიმე კულტურულ დაწესებულებების შესანახად, არამედ ერობათა გამგეობებისა და საბჭოს შტატების შესანახად. აშკარაა, ფული უნდა ვეძებოთ სადმე. ახალ გადასახადების შეწერა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ხალხი ძალზე გაღატაკებულია. როგორც საგლეხო ბანკის გამოცემაში ვკითხულობთ, ამიერ-კავკასიის ზოგ ადგილებში გლეხებზე გაწერილი გადასახადი შეადგენს მათის ყოველ წლიურ შემოსავლის 60 პროც.-ს, ზოგან კი გადასახადი 90 პროც.-საც უწევს. ეს იყო მაშინ, როდესაც მოქმედებდა კანონი ეგრედ წოდებულ საკომლო გადასახადისა. მხოლოდ როდესაც შემოღებულ იქმნა საერთო სახელმწიფო და საადგილმამულო გადასახადები, ხარჯი გაიზარდა 60 პროც.-დან 78 პროც.-მდე. ვინც ჩვენს ქვეყანას იცნობს, კარგად მოეხსენება, საშუალო შეძლების გლეხს მიწებიდან რა შემოსავალი აქვს. ამ შემოსავლის 78 პროც. რომ გადასახადების გასასტუმრებლად გადაიდოს, რაღა უნდა დარჩეს თითონ?! მე მინდა, სხვათა შორის, პასუხი გავცე აგრონომ დემენტიევს, რომელიც სამწუხაროდ, აქ არ არის ამ ჟამად. ერთს სხდომაზე ბ-ნი დემენტიევი ამტკიცებდა, რომ ხაზინას ძალიან ძვირად უჯდება ჩვენი ქვეყანაო. ხაზინა რუსის საწყალ გლეხის ჯიბიდან იღებს გროშობით ფულს და ამიერ კავკასიას ახარჯებსო. ესევე გაისმის სახელმწიფო სათათბიროში, ამასვე ჩაგვძახებენ ხოლმე ყოველ ხარჯვე შემთხვევის დროს ჩვენის ქვეყნის კეთილის მყოფნი. ბ-ნ დემენტიევის მიერ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები და დასკვნა, რომ ხაზინას ამიერ კავკასიელი უჯდება 8 მან., ხოლო რუსის გლეხი 1 მან. 97 კაპ. ანგარიშ გასაწევი ციფრებია. ჩვენ შუამდგომლობას არავითარი საფუძველი არ ექნება, თუ მართალია დემენტიევი. მე მრავალი საბუთი და ციფრი მაქვს ამის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ჟამად არ მივმართავ ჩემ მიერ შეკრებილ და შესწავლილ მასალას. ეხლა მე ისეთს წყაროებს მივმართავ, რომელთა შესახებ ოდნავი იჭვიც-კი არ შეიძლება. ეს წყაროა სახელმწიფო კანტროლის ანგარიშები უკანასკნელ ხუთი წლისა. სახელმწიფო კანტროლის ანგარიშებით 1900 წელს ამიერ-კავკასიიდან ხაზინას შესვლია 65 მილიონი მანეთი, ხოლო დაუხარჯავს 61 მილიონი მანეთი. 1901 წელს შემოსავალი ყოფილა 71 მილიონი, ხოლო ხარჯი—62½ მილიონი. 1908 წელს შემოსავალი—58½ მილიონი, ხარჯი—57½ მილიონი და სხვ. ხუთი უკასასკნელი წელი რომ ავიღოთ საშუალოდ შემოსავალი ჰქონია ხაზინას ამიერ-კავკასიიდან 59½ მილიონი, ხოლო ხარჯი—58 მილიონი. ხაზინას წმინდა მოგება დარჩენია 1,500,000 მ. ამას უნდა მიუმატოთ რკინის გზა, რომელიც საშუალოდ ყოველ წლივ 9 მილიონამდე წმინდა შემოსავალს იძლევა. ამ ანგარიშით გამოდის, რომ ყოველი კავკასიელი თავს ინახავს თავის შრომით და ხაზინას წმინდად აძლევს 26 კაპ. წელიწადში. შესადარებლად ავიღოთ ევროპის რუსეთი. ავიღოთ ცალკე სამხრეთი რუსეთი, ცალკე შუა გუბერნიები, სამრეწველო გუბერნიები და პოლონეთი. თითო კუთხე დიდია ამიერ-კავკასიაზე, სადაც 5½ მილიონი სცხოვრობს. მაგ. შუა გუბერნიებში სცხოვრებს 15 მილიონი, პოლონეთში—9 მილიონი და სხვ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კუთხეებიდან, კანტროლის ანგარიშებით, ხაზინა გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე ხარჯავს. რომ ავიღოთ აღნიშნულ კუთხეებში იმდენი მცხოვრები, რამდენიც ამიერ-კავკასიაშია, მაშინ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: ამიერ-კავკასიაში 5½ მილიონ მცხოვრებს სახელმწიფო ხაზინაში შეაქვს 59½ მილიონი, ხოლო ხაზინა ხარჯავს ამიერ-კავკასიაზე 58 მილიონს. რუსეთის 4 გუბერნიიდან ხაზინას შესდის 39 მილ., ხარჯავს 35 მილიონს, ცენტრალურ გუბერნიებიდან შესდის 30 მილიონი, ხარჯავს 11 მილიონს, პოლონეთიდან შესდის 77 მილიონი, ხარჯავს 55-ს სამრეწველო გუბერნიებიდან 53 მ., ხარჯავს—29 მ., გამოდის რომ ხაზინაში წმინდა შემოსავალი რჩება: ამიერ-კავკასიიდან 1½ მ., 4 გუბერნიიდან 3½ მ., ცენტრალურ გუბერნიებიდან 17 მ., სამრეწველო გუბერნიებიდან 24 მ., ხოლო პოლონეთიდან—22 მ. მაგრამ ეს ციფრები მართალი არ არის. ნამდვილად-კი შემოსავალი მეტია, ვიდრე ხაზინა ხარჯავს. თუმცა ამიერ კავკასია ხსენებულ კუთხებზე ორჯელ, სამჯელ და ოთხჯერაც ნაკლებია, ხაზინა ჩვენი ქვეყნის შემოსავლიდან ჯარსა და ფლოტზე უფრო მეტსა ხარჯავს, ვიდრე რუსეთის სხვა შუა კუთხეების შემოსავლიდან. ამიერ კავკასიაში ჯარისა და ფლოტის შესანახად გადადებულია 19 მილიონი, 4 გუბერნიაში—12 მ., შუაგულ გუბერნიებში—15 მ., სამრეწველო კუთხეში—3 მ., ხოლო პოლონეთში—41 მ., როგორც მოგეხსენებათ, დიდი ნაწილი ჯარისა და ფლოტის შესანახ ფულისა იხარჯება პოლონეთიდან და ამიერ-კავკასიიდან. ჯარი და ფლოტი მთელი სახელმწიფოს დასაცველად ჰყავს მთავრობას და უცნაურია, რომ განაპირა ქვეყნებს მეტი ფულის გაღება სჭირდებათ. მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ამიერ კავკასიამ ჯარისა და ფლოტის შესანახავად 16½ მილიონი მეტი არ უნდა გაიღოს, 4 გუბერნიამ—20 მ., ცენტრალურმა გუბერნიებმა—40 მ., სამრეწველო გუბერნიებმა კი—21 მ.; გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაცია ამიერ-კავკასიის შესანახ ხარჯს სწერს, ხოლო არ ანგარიშობს, გარდა პირდაპირ გადასახადებისა, რამდენია სხვა შემოსავალი. ყველასთვის ცნობილია, რომ მრავალი არა პირდაპირ გადასახადია. შაქარს, ასანთს, თამბაქოს და სხვას—დიდი სააქციზო გადასახადი ხდებათ. ვთქვათ, რუსეთის რომელსამე გუბერნიაში ხაზინამ პირდაპირი გადასახადისა და შაქარზე თუ სხვაზე აიღო 50 მილიონი. რა თქმა უნდა, მრეწველი კი არ იხდის იმ გადასახადს, არამედ ხალხი. როცა ყოველივე ეს მივიღე მხედველობაში, გავცხრილე ციფრები, ავიღე მინიმალური შემოსავალი არა პირდაპირ გადასახადებისა, გამოვიდა, რომ მთელი შემოსავალი ამიერ-კავკასიიდან როგორც პირდაპირ, ისე არა პირდაპირ გადასახადებისა არის 70 ნახევ. მილიონი, ხოლო ხარჯი ამიერ-კავკასიაზე 55 ნახ. მილიონი. გამოდის რომ წმინდა შემოსავალი ხაზინას ამიერ კავკასიიდან აქვს 14 ნახ. მილიონი. ამ გვარადვე 4 გუბერნიიდან წმინდა რჩება ხაზინას 9 მილიონი, ცენტრალურ გუბერნიებიდან—45 მ. სამრეწველო გუბერნიებიდან—11 მ. მაგრამ თუ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ ამიერ კავკასია გაცილებით მეტს წმინდა შემოსავალს აძლევს ხაზინას, ვიდრე ევროპის რუსეთის სხვა და სხვა ნაწილები.

| | შემოსავ. | გასავ. | წმინდა |
|---|---|---|---|
| ამიერ-კავკას-დან | 70½ | 55½ | 14½ მილ. |
| 4 გუბერნიიდან . | 52 | 43 | 9 „ |
| ცენტ. გუბერ-დან | 40 | 25 | 15 „ |
| სამრეწვ. გუბერ-დან | 47 | 38 | 9 „ |

ორთა შუა რიცხვით, ევროპის რუსეთი აძლევს ხაზინას 70 მილიონს, ხოლო ხარჯავს 58 მილიონს და რჩება 12 მილიონი. როგორც ჰხედავთ, ბატონებო, ამიერ-კავკასია არა თუ რუსეთას გლეხის ჯიბით სცხოვრობს, არამედ დიდ ხარჯს უსტუმრებს სახელმწიფოს და წმინდა შემოსავალს აძლევს კიდევ 14 ნახ. მილიონ მანეთს. მაშასადამე, არავის უფლება არა აქვს დაგვაყვედროს, რომ სხვის ლუკმაზე ვცხოვრობთო. კმარა ამდენი ხნის ყვირილი, ვითომ ჩვენ ზარალი მოგვქონდეს ხაზინისათვის და რუსეთის გლეხის სარჩენი და საცხოვრებელნი ვიყვნეთო!

ბ-ნ გოგიჩაიშვილის დასაბუთებულმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

ბ-ნ გოგიჩაიშვილს პასუხი გასცა სახაზინო პალატის უფროსმა ბ-ნ. ოსტროვსკიმ. მან განაცხადა: მე ვამოწმებ, რომ გოგიჩაიშვილის მიერ მოყვანილი ციფრები მართალიაო, მაგრამ ვერ დავეთანხმები მის კვლევის მეთოდს. ბ-ნ გოგიჩაიშვილი არაპირდაპირ გადასახადების რაოდენობას მცხოვრებთა რაოდენობას უდარებს და პროპორციონალურად ანაწილებს, ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. მაგარ სასმელებიდან ხაზინას 400 მილიონი შემოსავალი აქვს და ძნელია იმის გამორკვევა, თუ სად უფრო მეტი სასმელი იხარჯება, რომ ამის მიხედვით, შემოსავლის რაოდენობაც ვიანგარიშოთ. ყოველ შემთხვევაში ამისი ანგარიში და გამოკვლევა ტფილისში შეუძლებელია მასალის უქონლობისა გამო და პეტერბურგში კი შეიძლება კაცმა დაახლოვებით გამოიკვლიოსო.

ტფ. გუბერნატორმა კრების სახელით მადლობა გადაუხადა ბ-ნ გოგიჩაიშვილს მეტად სერიოზულ მოხსენებისათვის. მაგრამ დასძინა, რომ გოგიჩაიშვილის მიერ წამოყენებული ტეზისი არ შეიძლება ჩაითვალოს შუამდგომლობის საბაბადაო.

შემდეგ კრებამ მიიღო ბ-ნ დ. გურამიშვილის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია შუამდგომლობის აღძვრის შესახებ (საერობო დარაჯზე).

ცენზის შესახებ მოხსენებანი უნდა წაეკითხათ ა. ქალანთარს, ეირანოვს, და ა. მდივანს. ცენზის შესახებ ბ-ნი ქალანთარი იცავდა საგადასახადო ცენზს.

ბ-ნმა სტ. ეირანოვმა დაიწყო საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა,—ცირკულიარით მაგაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო.

ა. მდივანმაც მოხსენება ვერ დაასრულა იმავე მიზეზით...

ცენზისა და საარჩევნო უფლების შესახებ ხანგრძლივი კამათი გაიმართა რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ალ. ხატისოვმა, ტომაშევიჩმა, გ. გვაზავამ, ივ, ჯაბადარმა, მიხ. გედევანიშვილმა და სხვებმა. დასასრულ გუბერნატორის წინადადებით მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ნება მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა ყველას, ვისაც ერთმევა საერობო გადასახადი და აგრეთვე აქვს მცირე მამული მაინც, თუნდა გადასახადსაც არ იხდიდეს.

სხდომა გადაიდო 8 საათისათვის.

საღამოს სხდომაზე კენჭი უყარეს იმ საკითხს, როგორი უნდა იყოს არჩევნების წესი—კურიალური თუ საზოგადო. ხმები გაიყო და დიდი უმრავლესობა ვერც ერთმა წინადადებამ ვერ მიიღო. ამიტომ, თავმჯდომარის წინადადებით, საღამოს კრებისათვის სათათბიროს წევრთ ცალკე ფურცლებზე უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი. საღამოს სხდომას ყველა არ დაესწრო, ვინც დილით იყო. ამიტომ ეს საკითხი კიდევ გადასდეს შემდეგ სხდომისათვის.

ამის შემდეგ კრება შეუდგა სამაზრო და საგუბერნიო ერობაში ხმოსნების რაოდენობის გარკვევას. მოხსენება წაიკითხა თავ. ა. არგუთინსკიმ. მომხსენებელმა გამოარკვია, რამდენი ხმოსანი უნდა იყოს ქალაქებიდან, მიწათმფლობელთაგან და გლეხობისაგან. ყოველ 100 ათას მცხოვრებთაგან 30 ხმოსანი უნდა იყოს. შემდეგ ყოველ ათასზე თითო ხმოსანი მოემატება. სულ კი სამოც ხმოსანზე მეტი არ უნდა იყოს. ამ მოსაზრებით ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრაში ასე განაწილდება ხმოსანთა რაოდენობა:

| | სულ | მიწ.-მფ. | გლეხი | ქალაქები |
|---|---|---|---|---|
| ახალც. მაზრა | 35 | 12 | 20 | 3 |
| ახალქალაქისა | 35 | 12 | 20 | 3 |
| გორისა . | 45 | 22 | 16 | 7 |
| დუშეთისა . | 35 | 10 | 21 | 4 |
| ბორჩალოსი | 42 | 22 | 16 | 4 |
| თელავისა . | 35 | 11 | 20 | 4 |
| სიღნაღისა . | 35 | 6 | 24 | 5 |
| თიანეთისა . | 35 | 17 | 17 | 1 |
| ტფილისისა | 60 | 2 | 3 | 55 |
| | 357 | 112 | 154 | 91. |

ამნაირად, მაზრებში გლეხობის წარმომადგენელნი მეტნი იქნებიან, ტფილისის მაზრაში ქალაქის წარმომადგენელნი მეტნი იქნებიან. ამ მაზრაში 60 ხმოსნიდან 55 ხმოსანი ტფილისიდან იქნება. ბორჩალოსა და გორის მაზრაში მიწადმფლობელებს მეტი წარმომადგენელი ეყოლებათ, ვიდრე გლეხებს. ამ ორ მაზრაში მთელი რიცხვიდან თითქმის ნახევარი მიწადმფლობელთაგან იქნება. სხვა მაზრებში ხმოსნები მთელი რიცხვის ნახევარზე მეტი გლეხობიდან იქნება.

გვაზავა თხოულობს 3 ივნისის კანონი დასდებოდა საფუძვლად არჩევნებს, თუმცა ეს კანონი [illegible] ხენე გაზეთებში მეტად ცუდად იხსენიებენ, მაგრამ მთავარი ნაკლი ამ კანონისა ის არის, რომ „ინოროდცების" უფლებასა ზღუდავს. მხოლოდ ამ მხრივ არის დასაწუნი ეს კანონი, მაგრამ ერობისათვის ამ ნაკლს მნიშვნელობა არა აქვს. 3 ივნისის კანონი უფრო ლიბერალურია, ვიდრე არსებული საქალაქო საარჩევნო წესი. ამ კანონით უფრო მეტი ხალხი იღებს მონაწილეობას არჩევნებში, ვიდრე საქალაქო არჩევნებშიო. საჭიროა მიწადმფლობელთ მიეცეთ მეტი ხმა—ტფილისის მაზრაში მიწათმფლობელთ მეტი წარმომადგენლები უნდა ჰყავდეთ.

ოსტროვსკიმ (სახაზინო პალატის უფროსი) საჭიროდ სცნო, რომ ტფილისის მაზრაში გლეხებსა და მიწად მფლობელთ უფრო მეტი ხმოსნები ჰყავდეთ, ვიდრე მომხსენებელმა აღნიშნა. საზოგადოთ ქალაქიდან უფრო ნაკლები რიცხვი უნდა იყოს, ვიდრე მაზრიდან.

ჩოლოყაშვილმა სთქვა, მიწათ-მფლობელებში გლეხიც შედის, ვაჭარიც, თავადაზნაურნიცა და სამღვდელოც. 3 ივნისის კანონით, ვისაც კერძო საკუთრება აქვს, ვინც გადასახადს იხდის, ხმა აქვს არჩევნებში. ასეთები გლეხებიც არიან და თავადებიცაო.

ხატისოვი წინააღმდეგი იყო 3 ივნისის კანონისა. მან მხარი დაუჭირა მომხსენებელს.

ახალს აღარავინ ამბობდა. კენჭს ყრა არ შეიძლებოდა, სანამ არ გამოირკვეოდა, არჩევნები კურიალური იქნებოდა თუ არა. საკითხის გადაწყვეტა გადაიდო სხვა დროისათვის. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა ხატისოვის წინადადება—ქალებსაც უფლება მიეცეთ არჩევნებში პირდაპირ მონაწილეობისაო. დიდის უმრავლესობით ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

შემდეგი კრება დაინიშნა 12 ოქტომბერს საღამოს 8 საათისთვის. სანამ კრება დაიხურებოდა თავმჯდომარემ დაახლოვებით შემდეგი სთქვა: ბ-ნმა გვაზავამ მართალი სთქვა, კრებამ რომ მეტი რადიკალობა გამოიჩინოს, შესაძლებელია არაფერი ყურადღება არ მიაქციონ ჩვენს დადგენილებებს. მე გულითა და სულით მოწადინებული ვარ, მალე განხორციელდეს ერობა ამიერ კავკასიაში. თუ ასეთი დადგენილებანი მივიღეთ, გამოვა, რომ კავკასია რუსეთს უკარნახებს ერობის იდეალურ წესდებას. საჭიროა ადგილობრივ საჭიროების დაგვარად დირექტივები შეიტანოთ რუსეთში არსებულ საერობო წესდებაშიო.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ტრამვაის მოსამსახურენი.** როგორც ვწერდით, ტფ. ტრამვაის ახალ დირექტორსა და ტრამვაის მოსამსახურეთა შორის შეთანხმება ვერ მოხდა. რამდენიმე კრების შემდეგ მოსამსახურეთ აირჩიეს კომისია, რომელსაც უნდა მოეწყო საქმე დირექციასთან და ემაცადინა შეთანხმებისათვის. პირველად მორიგების ნიშნები იყო, მაგრამ როგორც ამ დღეებში დირექციის მიერ გამოკრულ განცხადებიდანა სჩანს, დირექცია არაფერს უთმობს მუშებს. დირექცია უცხადებს კონდუქტორებს, ვატმანებს, კონტროლერებს და სხვა მოსამსახურეებს, რომ ვინც 12 ნოემბრიდან ლებმონის მიერ შემუშავებულ პირობებს არ დაეთანხმება, შეუძლიან ანგარიში მოითხოვოს და სამსახურს თავი დაანებოსო. ამ განცხადებამ მოსამსახურენი ძალიან დააფიქრა. მათ გამართეს კრება და დაადგინეს, მიმართონ შუამდგომლობით კავკასიის ნამესტნიკს, რომ მოხელე-მოსამსახურეთ ცოტად მაინც შეუმსუბუქონ პირობები.

✦ **დამხვრჩვალები.** „ბატუმ. იზვეს". სიტყვით ამ რამდენიმე დღის წინად ბათუმში ზღვაში დამხვრჩვალა რამდენიმე კაცი. 10 მამხრჩვალის გვამი უკვე უპოვნიათ, ჰფიქრობენ, რომ სულ დაიხრჩო 26 კაციო.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** ქარელიდან გვწერენ: საფალავანდო მთის გაყოფის დროს სოფ. ღვიაგინაში დატრიალდა უბედურება. თავ. ზაქარია დარისპანის-ძე ფალავანდიშვილმა რევოლვერი ესროლა დუმიკო ფალავანდიშვილს, მაგრამ მას ასცდა ტყვია, მოხვდა ამავე სოფლის მცხოვრებს მიხეილ თედეშვილს და სასიკვდილოდ დასჭრა.

---

ფინანსო წესები საშუალო საუკუნოებს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მეოცე საუკუნეს, მაგრამ დალოცვილ სპარსეთში ბევრი ისეთი რამაა შესაფერად და სასარგებლოდ მიჩნეული, რაც ევროპიელებს სასაცილოდაც არ ეყოფათ. ასე, მაგ., სპარსელი გლეხის ყოველი ნაწარმოები დაბეგრილია, ხოლო თამბაქო, ხაშხაში და მაგარი სასმელები დღემდე სააქციზო გადასახადისაგან თავისუფალია. დაუმატეთ ყოველსავე ამას ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს შესავალ-გასავალს არავითარი კონტროლი არა აქვს, რომ შაჰიდან დაწყებული უბრალო მირზა-გადამწერლამდე ყველა ულვთოდ და დაუსჯელად სცარცვავს სახელმწიფო ხაზინას და ნათლად წარმოგიდგებათ სურათი სპარსეთის უნუგეშო მდგომარეობისა.

მაშინ, როცა აურაცხელი ბიძამისწული-შვილიშვილები ყაჯართა დინასტიის შაჰებისა—სხვა და სხვა დოვლე-სალთანები, — რომელთაც მთელი ირანი თავიანთ საგვარეულო მამულად გაუხდიათ და ბრწყინვალე სრა-სასახლეებში განცხრომით სცხოვრობენ, გაძვალტყავებული, ნახევრად მშიერ-ტიტველი ხალხი მოიჯარადრე მოლა-სეიდების ულმობელ ბრჭყალებში კვნესის და გონებრივ სიბნელისა და უვიცობის მორევში იხრჩობა.

დღეს ყველასათვის ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს ის აზრი, რომ მრეწველობა-მეურნეობის აყვავებისათვის საჭიროა მიმოსვლის საშუალებათა განვითარება, რომ უიმისოდ არა თუ ნაწარმოები ვერა პოულობს ხეირიან ბაზარს, თვით წარმოებაც დასაწყისშივე კნინდება და კვდება. სწრაფი, იაფი და ადვილი მიმოსვლა საქონელი წარმოებისა—აი, ერთი უმთავრესი პირობათაგანი მრეწველობა-მეურნეობის აღორძინებისა, სწორედ ამიტომ ევროპისა და ახალ ქვეყნის სახელმწიფოები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ იმის განსავითარებლად, დაწყებული რკინის გზებისა და უზარმაზარ გემებიდან ჩვენი დროის სასწაულ, დირიჟაბლ-ჰაეროპლანებამდე! სპარსეთში კი მიმოსვლის მთელი ალფა და ომეგა სახედარი და აქლემია. ასად ირანის ტერიტორიაზე, რომელიც სივრცით ათჯერ მეტია ამიერ კავკასიაზე, რკინის გზა არ მოიპოვება, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ სათამაშო რკინის გზას, რომელიც—სიგრძით 7 ვერსი—თეირანიდან „წმიდა სასაფლაომდე", შაჰ აბდულ აზიმამდე გაყვანილი. უცნაურია სწორედ: ერთად-ერთი რკინის გზა და იმასაც სასაფლაოზე მიჰყევხარ! ღმერთსაც ნუ ექნას, რომ ეს სპარსეთის ცხოვრების სიმბოლოდ გამხდარიყოს!..

მართალია, ჩრდილოეთ სპარსეთში გვარიანი გზატკეცილებია (ჯულფა-თავრიზი და ენზელ-თეირან-ჰამადინი), რომლებიც რუსეთს ეკუთვნიან, მაგრამ ისინი პატრონის გასამდიდრებელ წყაროს უფრო შეადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზებს ათჯერ მაინც აუნაზღაურებიათ დანახარჯი, დღემდე უზომო ფული ერთმევათ როგორც უბრალო მგზავრებს ისე საქონლით დატვირთულ ქარავნებს. გზებზე გამართულია ეგრედწოდებული „ხასტავები", სადაც რუსის ჩინოვნიკები სხედან და საგზაო გადასახადს ჰკრებენ: თითო სახედარზე დაწესებული თითო კრანი (დაახლოვებით 20 კაპ.), აქლემსა და ცხენზე 1½ კრანი.

აი, მიადგა „ხასტავას" ქარავანი. ნახევრად ტიტველი მექარავნე საცოდავად იკრუნჩხება და რაღაცას ლუღლუღებს—ფული არ აქვს, რომ გზის ბაჟი გადაიხადოს. ჩინოვნიკი (სწორედ ისეთი რუსის ჩინოვნიკი, როგორიც ჩვენში მილიონობით მოიპოვება) ზიზღით თვალს არიდებს იმის მზისაგან დამწვარ სიტიტვლეს და ულმობელის კილოთი ეუბნება:

— ნე პონიმაიუ, ჩტო ტი ტამ ბარომჩეშ, დენგი დავაი სკორეი!

ჩალვადარმა იცის, რომ ჩინოვნიკი შეუბრალებელია, უფულოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადაადგმევინებს წინ და ისევ საცოდავის ხმით ეეხვება:

— საჰაბ, ვალლაჰ, ფულ ნაარამ! (ბატონო, ღმერთმანი, ფული არა მაქვს) გამიშვი, საქონელს გავყიდი და დაბრუნებისას ერთად გადავიხდი..

ჩინოვნიკი ჯავრდება, იგინება რუსულად, უბრძანებს „ხასტავის" დაკეტვას და მიდის. რა უნდა ჰქნას ჩალვადარმა? კიდევ კარგი რომ სარდარი (ახალოხი) მაინც შერჩენია. თვალცრემლიანი იხდის მას, მიაქვს ჩინოვნიკთან და თითონ კი საცვლების ამარა რჩება.

არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი ნაამბობი გადაჭარბებული იყოს. სარდარებს „ხასტავა" ინახავს ორ თვეს. თუ ამ ხნის განმავლობაში პატრონი არ დაიბრუნებს, მერე საჯარო ვაჭრობით იყიდება. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჩალვადარს პერანგის მეტი არაფერი გააჩნია, იმასაც ხომ ვერ გახდი? მაშინ „ხასტავა" იმ საქონლის ნაწილს იტოვებს გადასახადში, რომელიც ჩალვადარს მიაქვს. ყოველ „ხასტავაზე" ნახავთ ამ გვარად მოგროვილ ბრინჯს, ხორბალს, ბამბას, თამბაქოს, მატყლს და სხვას. ენზელიდან თეირანამდე 13-მდე ასეთი „ხასტავაა" გამართული და თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რა ჯოჯოხეთი უნდა გამოიაროს ჩალვადარმა, რომელსაც წვითა და დაგვით ათიოდე ფუთი ფრინჯი თუ ხორბალი გადაურჩენია ყლაპია მოლა-სეიდ-დერვიშის მუცლისაგან და მიაქვს გასასყიდად, რომ ოდნავ მაინც დააპუროს მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილი. ნახევარზე მეტი ხომ გზაში უნდა დაუტოვოს მოლაზე არა ნაკლებ გაუმაძღარ „ხასტავებს"!

ასეთ პირობებში როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს აღებ-მიცემობა ან მრეწველობა-მეურნეობა? წარღვნის დროის საფინანსო წესებმა, უგზოობამ და ხალხის გონებრივმა სიბნელე-უვიცობამ საბოლოოდ დასცა სპარსეთის წარმოების ის დარგებიც კი, რომლებიც ოდესმე სპარსეთის სიამაყეს შეადგენდნენ, მაგ; შალისა და აბრეშუმის სხვა და სხვა ნაირი ქსოვილები (ნოხი-ქეჩა-ფარდაგი) და მათ მაგიერ შინაურ ბაზარზე მოსკოვის დამპალი ფართალ-ფურთალი გაამეფა. მაგრამ იმასაც არა აქვს ხეირიანი გასავალი, რადგან გაღატაკებულ სპარსელ მომხმარებელს იმაზედაც ვერ უწვდება ხელი და ზამთარ-ზაფხულ შინ მომზადებულ საჩოხე შალით მიდის იოლას. რუსეთის მრეწველ-ვაჭარნი კი კეთროვან იობის ხმით შესჩივიან თავიანთ მთავრობას: ცავიღუპეთ, სპარსეთში 50 მილიონი მანეთის საქონელი ჩავყარეთ და ყაჩაღი სპარსელები ნახევარ საფასურებსაც კი არ გვაძლევენო. საბრალო რუსის „მრეწველები"!

**ვეზირიძე.**

(დასასრული იქნება)

**ებრაელების ტყვეობიდან დაბრუნება.** ქარელიდან გვწერენ: „მკითხველებს ეხსომებათ, რომ 21 ენკენისთვეს სოფ. ქვენაფლავში გაიტაცეს ორი ებრაელი, დავით და დანიელა მანაშეროვები. ეს ებრაელები 6 ღვინობისთვეს ტყვეობიდან სახლში დაბრუნდნენ. მანაშეროვების ლაპარაკიდან ჰჩანს, გატაცება ასე მომხდარა: 21 ენკენისთვეს, როცა სოფ. ქვენაფლავში რთველი გაუთავებიათ და ვახშმის ჭამა დაუწყვიათ, ვიღაც ოთხი შეიარაღებული შესულან და თან ებრაელები წაუყვანიათ, გარეთ შეერთებიან სამნი ესეთივე შეიარაღებული კაცი და სადგურისკენ გაუშურებიათ. აქ ებრაელებისთვის თვალები აუხვევიათ და საქონლის მატარებლით ტფილისკენ წაუყვანიათ. სადგურ გრაკლის იქით, რაზიეზდზედ, გადმოუყვანიათ და მთაში აუყვანიათ. იმ დღეს იქ დაუღამებიათ. თხუტმეტი დღე ამ ტყეში გაუტარებიათ. ებრაელებისთვის მოუთხოვიათ 20,000 მ. მხოლოდ მიუღიათ რამე ან რამდენი, არავინ იცის და 6 ღვინობისთვეს გამოუშვიათ. ბოროტ გამზრახველნი ებრაელებს ვერ უცვნიათ

**მიხეილ კიკნაძის დაკრძალვა.** კვირას, 11 ოქტომბერს, მიწას მიაბარეს მიხეილ კიკნაძე. განსვენებულის ცხედარს მისდევდნენ ამხანაგები, სტამბის მუშები და მშობლებ-ნათესავები. კუბოს ამშვენებდა გვირგვინები ამხანაგებისაგან და მუშებისაგან. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს გულიაშვილმა, ადამიძემ და ამხანაგების სახელით ს.— ხონიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „დიდად შეგვაწუხა მიხეილის უდროოდ დაკარგვამ. ვწუხართ უჩინარ; მაგრამ შრომელ ამხანაგის დაკარგვას. ხონელი ამხანაგები".

**მკვლელობა ბათუმში.** „ბატუმ. იზვეს." სიტყვით, 4 ოქტომბერს ფოთში საზოგადო საკრებულოს სადგომში ბ-ნ გალსკის დასს დაუდგამს ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა". მესამე მოქმედებაში სცენის მოყვარე კოპსოკს გრიმი გაჰფუჭებია და სცენიდან გასულა. არტისტ ქალს ქ-ნ გრიცს, როგორც გამოუცდელს, უხერხულად უგრძვნია თავი და სცენიდან გასულა. მოქმედების გათავების შემდეგ გრიცს და კოპროვს ლაპარაკი მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთმანეთი გაულანძღიათ. გრიცს ყველაფერი ეს ხორუნჟი სოკოლსკისთვის შეუჩივლია, სოკოლსკი კოპროვისკენ წასულა, სიტყვაც არ უთქმევინებია და თავსა და მუცელში დაუჭრია. კოპროვი გარდაცვლილა. ხორუნჟი სოკოლსკი დაუპატიმრებიათ.

**გიმნაზია სუსტი აგებულების ბავშვებისათვის.** 11 ოქტომბერს გუდაუთში (სოხუმის ოლქი) გაიხსნა გიმნაზია სუსტი-აგებულების ბავშვებისათვის. გიმნაზიაში სწავლობენ ორივე სქესის ყმაწვილები.

**ფულის გატაცება.** სააგენტოს სიტყვით, არმავირსა და მაიკოვის შუა აღმოჩენილა, რომ ფოსტიდან ვიღაცას ერთი აბგა მოუპარავს. აბგაში 17,943 მანეთი ყოფილა.

**გაზეთის დახურვა.** უსახსრობისა გამო დაიხურა ტფილისში მემარჯვენეთა გაზეთი „რუსკი-კავკაზი".

**ერობის შესახებ კრებების დამთავრება.** ერობის შესახებ საგუბერნიო კრება გათავდება დღეს, 13 ოქტომბერს. მთავარ საკითხების განხილვა უკვე დასრულდა. მთელ მასალას ბიურო სექციების წარმომადგენელთა მონაწილეობით თავს მოუყრის და ერთი თვის შემდეგ ნამესტნიკს წარუდგენს.

**ხოლერა.** „კასპი"-ს სიტყვით, კავკავის რკინის გზაზე ხოლერა გაჩენილა. ამ ს გარდა ხოლერით რამდენიმე კაცი გამხდარა ავად არმავირში. ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა და გარდაცვლილა ინჟენერი პავლე ნერსესის ძე აკოფოვი.

**პეტერსონის გადადგომა.** უკვე გვქონდა ბაქოს გაზეთებიდან ამოღებული, რომ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორს გადაწყვეტილი აქვს, თავი მიანებოს თანამდებობასაო. „კასპ"-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, პეტერსონმა უკვე შეიტანა ქაღალდი სამსახურიდან გადადგომის შესახებაო.

**დაპატიმრება.** „ბაკუ" ს სიტყვით, 7 ოქტომბერს სადგურ „კოლონკას" მახლობლად რამდენიმე ბოროტ-გამზრახველს აუყრიათ რელსები. როგორც ბოლოს გამოირკვეულა, უცნობებს საფოსტო მატარებლის ჲადაგდება სდომებიათ. მატარებელი გადაურჩენია გზის ოსტატს, რომელსაც დროზე შეუნიშნავს ეს და მატარებელი შეუჩერებინებია. ჟანდარმებს დაუპატიმრებიათ სამი ოსი. ოსები გამოტეხილან და უთქვამთ. გავიგეთ, რომ ამ მატარებლით 40,000 მანეთი მიჰქონდათ და ფულის გატაცება გვინდოდა, ჩვენ კიდევ სამი ამხანაგი გვყავდა, მათი გვარები არ ვიცით, სადგურ ბესლანისკენ წავიდნენო.

**ახალი კანონ პროექტი.** სახელმწიფო სათათბიროს მაჰმადიანთა ფრაქციის სათათბიროში შეუტანია ახალი კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტით მაჰმადიანთა დღესასწაულად აღიარებულ უნდა ქმნეს პარასკევი და ამ დღეს სახელმწიფო დაწესებულებებში მაჰმადიანი მოხელენი უნდა განთავისუფლონ.

**ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა დაინიშნა ხუთშაბათს 15 ოქტომბრისათვის.

**შემოწირულება.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო ჩუნეშის საბლაღოჩინოს კრებულთა შორის შეკრებილი 14 მან. სია შემომწირველთა: თითო მანეთი: ცხუნკურის კრებული—მღვ. იოსებ შვანგირაძე, მედავითნე რომანოზ კეთილაძე და სერაპიონ შვანგირაძე. ხომულის მღვდელი კალისტრატე ფანცხავა და მედავითნე ევსევი ჩიხლაძე, ყუმისთავის მღვდელი მათე სულიძე და მედავითნე თომა შვანგირაძე, გვიმბრის მღვ. ი ჩიხლაძე და მედავითნე ი. გორდელაძე, ჩუნეშის მღვ. ნ. ჯალაგანია და მედ. ი. ხაჰაპურიძე, ძულუხის მღვ. ლეონ გორდელაძე და მედ. ი. ხელაბერიძე, უზლოური მღვ. ნ. კეთილაძე და მედ. ლ. მელქაძე, დედალვთისის მღვ. დ. ღურჭუმელია და მედ. ი. შვანგირაძე, ახალზედისეულის მღვდელი ანტონ კანდელაკი და მედავითნე ი. ჩინჩალაძე, გურის-წყლის-პირის მღვ. ი. ჩომახიძე და მედ. დ. აფხაძე, ბანოჯის მღვ. ი. ცქიტიშვილი და მედ. თ. მგალობლიშვილი, ჩუნეშის მღვ. თ. შვანგირაძე და მედ. ან. ხაჭაპურიძე, გვიშტიბის მღვ. გ. ლუტიძე და მედ. ექვთიმე შვანგირიძე, წყალტუბის მღვ. იუსტინე ფანცხავა და მედავითნე ბიქტორ კინწერაშვილი.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილინებეს და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ ახლად აშენებულს სოფლის ივანდიდის წმ. გიორგის ეკკლესიას სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთი. სია შემომწირველთა: დიმიტრი კიმოთეს ძე ტაბაძე, ბაირაღები ეკკლესიისა, ღირებული 50 მანეთად, კოსტა ანტონის ძე მაჭარაძე—კანდელი, ღირებული 68 მ. და 64 კ., ქვრივი თეოდოსია ბათლომე ქუთათელაძისა—8 მან. სახარების განსაახლებლად, ქვრივ ეფროსინე ალექსი ტაბაძისა—10 მან. ეკკლესიაში სახმარ ნოხის შესაძენად, მეუღლე ფილიპე პეტრეს ძე მაჭარაძისა—10 მანეთი ეკკლესიის შესალებად. მღ. ივანდიდის წმ. გიორგის ეკკლესიისა ანდრია ადამია."

ტფ. პოლიციამ 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ავჭალის ქუჩაზე დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატოროდან გამეგებული და თავის ნებით დაბრუნებული კონსტანტინე ალავიძე. პოლიციის მეათე ნაწილში დააპატიმრეს რუსეთიდან გამოქცეული იოსებ ოსიკამაშვილი.

პოლიციის მე-3 ნაწილში, ორბელიანის ქუჩაზე, ღამის 11 საათზე, ტფ. მოქალაქემ ოტტო ფრიდრიხ გურცმა კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიწამლა. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბები

**ახალციხე.** სწავლის სურვილი ხვენში დღითი დღე მატულობს, მაგრამ არავინ არის, რომ ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. გასული თვის პირველ რიცხვებში ქალაქის ერთ-კლასიან სასწავლებელს იმდენი მსურველი მოაწყდა, რომ უადგილობისა გამო სასწავლებელს გარედ 30 ბავშვი დარჩა. ბავშვების მშობლებმა სკოლის მმართველ სმირნოვთან ერთად სთხოვეს სახალხო სკოლების დირექტორს, გაეხსნა დამატებითი განყოფილებანი ამავე სასწავლებელთან. დირექტორმა უყურადღებოდ დასტოვა თხოვნა.

ძველ ნაწილში განზრახული იყო უეჭველად 2 კლასიან სასწავლებლის დაარსება. სახალხო სკოლების ინსპექტორმა ამისათვის ბინაც იქირაა, მაგრამ ამაოდ: „კრედიტი" არ არისო და საქმე ჩაიშალა.

წარსულ ენკენისთვიდანვე პროგიმნაზია უნდა გაგვხსნოდა, რის ნებართვაც მიღებული იყო, მაგრამ წლეულს ესეც ვერ მოხერხდა.

გაზაფხულზე ადგილობრივმა ქართველობამ მოიწადინა წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გახსნა იმ აზრით, რომ ადგ. საქალებო ერთ-კლასიან სასწავლებლის საქმენი გაეუმჯობესებინა, სიკვდილის პირზე მიმდგარი სახალხო იაფ-ფასიანი სამკითხველო-ბიბლიოთეკა გაეკურნა და ფეხზე დაეყენებინა და სცენის მოყვარეთა სამუდამო დასი შეექნა. განაჩენიც დავადგინეთ ოც-და-ათი კაცის ხელმოწერით და გავუგზავნეთ წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას თხოვნით, რომ გამგეობას დაემტკიცებინა ჩვენი განაჩენი, მაგრამ გამგეობას ინსტრუქციის მეტი არაფერი გამოუგზავნია. ჩვენ განვაახლეთ სათხოვარი და ისიც ვითხოვეთ, რომ ხელის მომწერთა სიის პირი დაებრუნებინათ (რადგანაც იმისი შავი ხელთ არა გვაქვს), მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არა გვაქვს. ახლა არ ვიცით, რა ვქნათ. საქმე რომ სულ არ გაცივდეს და გაიყინოს, საჭიროა მთავარმა გამგეობამ იღონოს რამე. ამასთან ვაცნობებ გამგეობას, რომ კნ. თ. ვაჩნაძისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მთავარ საზოგადოებასთან მიწერ-მოწერა, ახალციხიდან სამუდამოდ სხვაგან გადასახლდა და თუ ინებს გამოგზავნა რისამე, გამოგზავნოს ჩემ სახელზე, რადგან ადგ. საზოგადოებამ მე მომანდო ეს საქმე.

4 ოქტომბერს ადგ. სამოქალაქო 4-კლასიან სასწავლებელში იდღესასწაულეს უდის სასოფლო ერთ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლის მასწ. ივანე ბარიკაძის 25 წლის იუბილე. წაიკითხეს სხვა და სხვა ადგილებიდან მიღებული 30 დეპეშა და 10 ადრესი. როგორც მასწავლებლებმა, ისე მოქალაქეებმა ძვირფასი ნივთები მიართვეს იუბილიარს. პარაკლისსა და მილოცვის შემდეგ სადილი გაუმართა დამსწრე საზოგადოებამ.

ამ დღეებში მარდის უბანში მეტად საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დაეცნენ შიკირტიჩ თორქომიანცს თავის ბინაზე, კედელი გამოსჭრეს და შემდეგ მისი ცოლი აკუწეს ხანჯლით. რაც ჰქონდათ ძვირფასი ნივთები, სულ წაუღიათ. როგორც გავიგეთ, პოლიციას მკვლელების კვალისათვის მიუგნიათ და შეუპყრიათ. ამ ცოტა ხანში ს. წყურთსა და უურათბანშიაც მოჰკლეს კაცები. **ქ. გვარამაძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** კვირას ქნ ჩირგაძის ხელოვნურმა თამაშმა მოხიბლა საზოგადოება. მესამედ თამაშობს ქ-ნი ჩირგაძე და უკვე დიდი პროგრესი ეტყობა. საუბედუროდ, იგი დროებით მიდის. საუცხოვო იყო ვ. გუნია, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში. არა ჩვეულებრივად ჩაატარა ზეინაბმაც. საზოგადოდ წარმოდგენამ ვერ ჩაიარა სასიამოვნოდ. რეჟისსორის ხელი სულ არ სჩანდა. სცენაზედ სრული დეზორგანიზაცია იყო, რაიცა სრულიად აფუჭებდა შთაბეჭდილებას. ამას გარდა, კრანიც მოშვებული იყო და წყლით ავსებულიყო იქაურობა. ამან კიდევ უფრო წაუხდინა გული მახიობებს, და საზოგადოებასაც, რადგან წარმოდგენა $1/2$ საათით გადაიდო და გვიან გათავდა.

# უცხოეთი

**ახალი შეთქმულება საბერძნეთში.**

გაზეთები გვატყობინებენ, საბერძნეთში ძალიან ვითარდება მოძრაობა ეხლანდელ დინასტიის წინააღმდეგ. ოფიცრებში შეთქმულებაა. მიზნად აქვთ მშვიდობიანურ წესით გადააყენონ ეხლანდელი დინასტიის წარმომადგენელი და ტახტზე აბრუცის ჰერცოგი აიყვანონ.

**ზაგრების საქმე.**

ზაგრებიდან იტყობინებიან, საპყრობილეს აუტანელ პირობების გამო 31 კაცმა საჭმელის მიღება აჰკვეთა და შიმშილობა გამოაცხადა. ყველა ესენი ზაგრების საქმის გამო სამართალში იყვნენ მიცემულნი.

**ფერერის დასჯა.**

ფერერის დასჯის გამო მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ პროტესტი გამოაცხადა. საფრანგეთის ორმოცდაჩვიდმეტმა ქალაქმა დაადგინა ერთ-ერთ ქალაქის ქუჩას ფერერის სახელი უწოდოს.

**ლომბროზო და ფერერი.**

გაზეთების სიტყვით ეხლახანს გარდაცვალებული მეცნიერი ლომბროზო თურმე კარგი მეგობარი ყოფილა ფერერისა. ერთად უმუშავნიათ და ლომბროზოს ფერერის დახმარებით რამდენიმე სამეცნიერო შრომა დაუწერია. სიკვდილის წინ ლომბროზომაც აღიმაღლა ხმა და პროტესტი განაცხადა თავის მოძმის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

**შურისძიება.**

ბარცელონიდან იტყობინებიან, მოჰკლეს პროკურორი, რომელიც ფერერის საქმის გარჩევის დროს თხოულობდა ბრალდებულის სიკვდილით დასჯას. პროკურორი მოუკლავთ სეირნობის დროს, ბულვარზე. მოსამართლეების ბინებს ჯარი იცავს.

**მოძრაობა ესპანიაში.**

ბერლინის გაზეთების სიტყვით, მეფე ალფონსი შეფიქრიანებულია, ხმა დადის მეფეს მოკვლას უპირებენო. ალფონსი თავის სასახლეშია ჩაკეტილი და იძულებულია კარში არ გამოვიდეს. დემოკრატიული მოძრაობა თან და თან ძლიერდება ესპანიაში. ამას ხელი შეუწყო იმ საყოველთაო უკმაყოფილებამ, რომელიც ფერერის დასჯამ გამოიწვია. ფიქრობენ რეაქციას დიდი დღეები აღარა აქვსო.

**სოციალისტების პროკლამაციები პარიზში.**

ფერერის დასჯით აღშფოთებულმა სოციალისტებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს პარიზში. ჟორესმა და ერვემ პროკლამაციები გამოსცეს. ერვეს პროკლამაცია ასეთი სათაურისა იყო: „ალფონს მესამის თავის მოკვლა". ჟორესის პროკლამაცია უფრო ზომიერი იყო, ვიდრე ანტიმილიტარისტ ერვესი. არა ნაკლებ მკაცრი პროკლამაცია გამოუცია ესპანიის შემავიწროებელთა მსხვერპლის დამცველ კომიტეტს. ეს პროკლამაცია ასეთი შინაარსისაა: „გადაწყვეტილია, ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. ფერერი უკვე უკვდავთა გუნდშია. ალფონს მესამემ და მინისტრებმა წარუხოცელი სირცხვილი სჭამეს. მონარქიულმა, კლერიკალურმა და კაპიტალისტურმა ესპანიამ ისარგებლა ევროპის სისუსტით, ფეხქვეშ გასთელა მსოფლიო სინიდისი. მადრიდის ავაზაკები სცდებიან. რაც ვერ მოახერხეს მთავრობებმა, იმას თვით ხალხები შესძლებენ. დაე უდანაშაულოდ დასჯილ ესპანელთა სისხლი მოეწიოს ჯალათებს. ძირს ალფონს მესამე, ძირს მკვლელი.

# სასამართლო

**ჩამოხრჩობა.**

9 ოქტომბერს სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რაჭის მაზრის მცხოვრების ივანე დარახველიძისა, სოფ. გლდანის მცხოვრების სარქის ხარიმიანცისა, კარაპეტ მამინოვისა, გიგო გრატიაშვილისა, გრიგოლ გოგინაშვილისა და ვასილ კვირიკაძისა, რომელთაც ბრალდებოდათ საიდუმლო პოლიციის აგენტის ტერ-ნაკანოვის მოკვლა.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო დარახველიძე, ხარიმიანცი, მამინოვი, გოგინაშვილი და გრატიაშვილი და მიუსაჯა ჩამოხრჩობა, ხოლო კვირიკაძეს—15 წლით კატორგაში გაგზავნა.

**შუაკაცობა ქრთამების აღებაში.**

12 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია მე-8 საპოლიციო უბნის გადამწერად ნამყოფის თავ. ზაალ თუმანიშვილის საქმე.

1908 წელს აგვისტოს პირველ რიცხვებში ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ზაფიროპულოს შეუდგენია ოქმი მეტრაქტირე ზურაბ კოშტოიანცისათის ტრაქტირის ანტისანიტარულ მდგომარეობის შესახებ. მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ, თუმანოვის შუა-კაცობით ბოქაულს აუღია 50 მან., ოქმი მოუსპია და კოშტოიანცი პასუხის-მგებლობისაგან გაუნთავისუფლებია. ასეთივე ფაქტი გამეორებულა აგვისტოს შუა რიცხვებში. მიხეილ სარქისოვის ღორები დაუმწყვდევიათ ბოქაულ ზაფირაპულოს განკარგულებით. შემდეგ 20 მანეთი მიუციათ საჩუქრის სახით და ღორები გაუნთავისუფლებიათ. ამავე დროს 50 მან. აუღია ბოქაულს „თელავის" სასტუმროს პატრონ არტემ საფარაპეტიანცისაგან და მოუსპია ოქმი სასტუმროს ანტი-სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. არტაშეს გაფონიანცს მიუცია ბოქაულისათვის 50 მან. მისი ძმის განთავისუფლებაში, რომელიც ყოფილა დატუსაღებული ბოქაულის მიერ, არალეგალურ ლიტერატურის შენახვისა გამო. თუმანიშვილს ბრალდებოდა (ბოქაული მკვდარია) ზემოდ ჩამოთვლილ საქმეებში შუაკაცობა და ხელის შეწყობა.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ იცნო. მას იცავდა ნაფიცი ვექილი მახარაძე.

მოწმების გამოკითხვის შემდეგ ოლქის სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო თუმანიშვილი და გაამართლა.

**უწყების არ ჩაბარებ სთვის.**

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ყოფილ უბნის ზედამხედველის ვიტალი სულიმოვსკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ბოქაულისთვის ყალბი მოხსენების წარდგენა.

1908 წ. 17 დეკემბერს უბნის ზედამხედველ სულიმოვსკის სამხედრო საქმეთა საკრებულოს გადამწერის ჩიხლაძისაგან მიუღია უწყებები დავით გიგაურისთვის ჩასაბარებლად. ამ უკანასკნელს იწვევდნენ საკრებულოში 20 დეკემბრისათვის. მეორე უწყება იყო მომრიგებელ მოსამართლისა აკოფა ოჰანეზოვისთვის ჩასაბარებლად. ზედამხედველ სულიმოვსკის უწყებები არ ჩაუბარებია ზემოდ დასახელებულ პირთათვის, ხოლო ბოქაულისათვის მოუხსენებია, რომ უწყებებში ნაჩვენებ ადრესით ვერ ვიპოვე ისინიო. ბოქაულს ეჭვი შეჰპარვია ამის სიმართლეში და მოუხდენია შესაფერი განკარგულება გამორკვეულა, რომ სულიმოვსკი სრულებით არა ყოფილა გიგაურთან და ოჰანეზოვთან და უწყებებში ნაჩვენები ადრესებიც სწორე აღმოჩენილა, რის გამო იგი პასუხის გებაში მიუციათ

ბრალდებულს იცავდა კერძო ვექილი ბოგდანოვი. სასამართლომ დაადგინა: გამოეცხადოს ყოფილ უბნის ზედამხედველ სულიმოვსკის სასტიკი საყვედური და გადახდეს სასამართლოში საქმის საწარმოვო ხარჯი.

# რუსეთი

**კიდევ პროვოკატორი.** გაზეთებში ცნობა იყო და ჩვენც გადმოვბეჭდეთ, რომ ბურცევმა ერთი პროვოკატორი კიდევ აღმოაჩინაო. ამ ჟამად პროვოკატორი „ბუნდში" აღმოჩნდა. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ეს პროვოკატორი „ბუნდის" ცენტრალურ კომიტეტის წევრი იყოვო. გაზეთ „ნოვაია დენის" სიტყვით „ისრაილ-მიხეილ კაპლინსკი" (პროვოკატორის გვარია) „ბუნდის" ცენტრალურ კომიტეტის წევრი არა ყოფილა, მხოლოდ პარტიაში კი უმუშავნია და ერთ ვალენიან წევრად ითვლებოდა. კაპლინსკი თავდაპირველად სინაგოგის მოსამსახურე იყო. „ბუნდში" შესვლის შემდეგ, 1893 წელს, მიატოვა სინაგოგა და ზეინკლობა დაიწყო. ამის შემდეგ კაპლინსკი ენერგიულად შეუდგა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურის გავრცელებას. კაპლინსკიმ ბევრი ეცადა, რომ ებრაელებში დაარსებულიყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, მხოლოდ ავტონომიურის უფლებებით. კაპლინსკიმ თავის მიზანს მიაღწია. მისი მეცადინეობით დაარსდა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ლიტველ და პოლონელ ებრაელ მუშათა კავშირი", იგივე „ბუნდი". კაპლინსკი დღე და ღამ მუშაობდა. სხვათა შორის მან პირველად მოაწყო არალეგალური სტამბა და გამოუშვა გაზეთ „რაბოჩეე დელო"-ს პირველი ნომერი. თუ რამდენად აფასებდნენ პარტიაში კაპლინსკის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ „პერეჟიტოეში" მთელი წერილი დასტამბეს მის შესახებ. ვილნოში არალეგალურ სტამბის გახსნის შემდეგ კაპლინსკიმ ასეთივე სტამბები გახსნა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში, მაგრამ კაპლინსკი ამ მუშაობაში არ ყოფილა... იგი დადის ქალაქ-სოფლებში და ებრაელებს ... ქადაგებდას. 1903 წელს ბობრუისკში შეიკრიბნენ „ბუნდის" მეთაურები. ამ კრებას დაესწრო კაპლინსკი-ც. კაპლინსკიმ ბობრუისკში ჩამოსვლისთანავე ხელად მოაწყო არალეგალური სტამბა, მაგრამ პოლიციამ მალე გაიგო და ყველანი დააპატიმრა. დააპატიმრეს კაპლინსკიც. დაპატიმრებულები მალე მოსკოვის სატუსაღოში გადაიყვანეს. ამ დროს მოქმედებდა „ცნობილი" ზუბატოვი. ზუბატოვი სცდილობდა „ბუნდის" მოქმედების გაქარწყლებას, რის გულისათვისაც მან ებრაელებში დააარსა დამოუკიდებელთა პარტია. ამ უკანასკნელს მეთაურობდა მარიამ ველბუშევიჩი. ამას გარდა ზუბატოვი არც დაპატიმრებულებს სტოვებდა უყურადღებოდ და სცდილობდა თავის მხარეზე გადაეყვანა და საიდუმლო პოლიციის აგენტებად გაეხადნა. ასე მოექცა იმათ, ვინც კაპლინსკისთან ერთად დააპატიმრეს, მაგრამ ეს არც ისე ადვილი მოსახერხებელი აღმოჩნდა, როგორც ზუბატოვს ეგონა. ზუბატოვმა მარტო კაპლინსკი გადიბირა, დანარჩენებმა გადაჭრით უარი უთხრეს. კაპლინსკი მალე განთავისუფლეს, იგი წინანდებურად ენერგიულ მუშაობას შეუდგა, მხოლოდ ამ ჟამად პროვოკატორულის მიზნით. კაპლინსკიმ კარგად იცოდა „ბუნდის" მოქმედება, წვრილმანებიც კი, რადგან მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ცენტრალურ კომიტეტის წევრები. ცენტრალურ კომიტეტის ყოველ სხდომას შესახებ კაპლინსკი პოლიციის დეპარტამენტს ვრცელ მოხსენებებს უგზავნიდა. ამბობენ, 1905 წლამდის კაპლინსკის პარტიის ყველა საიდუმლოებანი არ გაუციაო. ამბობენ აგრეთვე, რომ კაპლინსკის სახლში იმალებოდა ბალტიის მხარის ამბოხების მეთაური, ამხანაგი მაქსიმი, მაგრამ კაპლინსკის არ გაუციაო. უკვე გამოირკვა, რომ „ბუნდის" მეთაურები ტარასი და კალმანი კაპლინსკიმ გასცა. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ კაპლინსკის თვითონ მოუწყვია საიდუმლო სტამბა, დაუბეჭდია არალეგალური ლიტერატურა და შემდეგ თვითონვე გაუცია. 1906 წელს, როდესაც დაარსდა ებრაელ ასოთ-ამწყობების კავშირი, კავშირმა თავის თავმჯდომარედ კაპლინსკი აირჩია. ამ ორი კვირის წინად კაპლინსკის ჟენევიდან წერილი მოუვიდა, პროვოკატორობას გაბრალებენ, ამიტომ პარტია მოვალედ ჰრაცხს თავის თავს საამხანაგო სამართალი დანიშნოს და ამა და ამ დროს ჟენევაში უნდა ჩამოხვიდეო. კაპლინსკი წერილის მიღებისთანავე სადღაც გაჰქრა. ამხანაგებს არა სჯეროდათ, კაპლინსკის პროვოკატორობა, მაგრამ ისეთი საბუთები წარუდგინეს, რომ იძულებული გახდნენ დარწმუნებულიყვნენ კაპლინსკის პროვოკატორობაში.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: სარატოვში 3, ეკატერინოსლავში 4, კრასნოიარსკში 1, ვარშავაში 2, პეტერბურგში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში 1, კრასნოიარსკში 1, ეკატერინოსლავში 3, სარატოვში 1, ოდესაში 2 კაცი.

# განცხადებანი


**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—192)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი **მ. ს. აბლაძე.**